# რა გველოდება

# საშინელი სამსჯავროს შემდეგ

„აპოკატასტასისის“ განხილვა
წმიდა მამათა სწავლებების
მიხედვით

შეადგინა და თარგმნა
ვლადიმერ წამალაშვილმა

# სარჩევი

შესავალი....................................................................................................................4

**თავი პირველი**

რას ამბობენ თანამედროვე „მოწყალენი“...........................................................................7

**თავი მეორე**

პასუხი „მოწყალეთა“ „არგუმენტებზე“.............................................................................14
ა) რომელი საეკლესიო კრებების მიერ იქნა
დაგმობილი ორიგენეს ცრუმოძღვრებები.........................................................................17
ბ) შეიწყნარა თუ არა ეკლესიამ
„თავშეკავებული“ „აპოკატასტასისი“?..................................................................................19
გ) წმიდა წერილი მარადიული ნეტარებისა
და მარადიული ტანჯვის შესახებ........................................................................................25
დ) არის თუ არა წინააღმდეგობა
წმიდა წერილში?.......................................................................................................................31
ე) არის თუ არა წინააღმდეგობა
მამათა სწავლებებში?...............................................................................................................38
ვ) სიყვარულის, სამართლისა
და თავისუფალი ნების შესახებ...........................................................................................42

**თავი მესამე**

წმიდა მამათა თანხმიერი მოწმობა
საუკუნო ნეტარებისა და საუკუნო ტანჯვის შესახებ
ა) I–V საუკუნეების მამები.......................................................................................................52
ბ) VI– XI საუკუნეების მამები....................................................................................................56
გ) XII– XX საუკუნეების მამები................................................................................................63

„რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვისთა“.

I კორ. 2,9

# შესავალი

წმიდა წერილიდან, მამათა სწავლებებიდან და ეკლესიის ისტორიიდან ვიცით, რომ ეკლესიის წევრთა შორის მწვალებლური სწავლებების გავრცელება უაღრესად საშიში მოვლენაა და ამიტომაც წმიდა მამები არ იშურებდნენ ძალისხმევას დამღუპველი სიცრუის აღმოსაფხვრელად. როდესაც არიოზის ერესი გავრცელდა, განდეგილად მცხოვრები წმ. ანტონი დიდი დროებით განეშორა თავის მყუდრო სამყოფელს და ეგვიპტის დედაქალაქ ალექსანდრიაში ჩავიდა ცრუმოძღვრების სამხილებლად. ასეთივე მოშურნეობით იბრძოდნენ მართლმადიდებლობის დასაცავად სხვა წმიდა მამებიც. როდესაც მწვალებლობის გავრცელება განსაკუთრებით საშიშ სახეს იღებდა, ეკლესია მსოფლიო კრებებს იწვევდა ჭეშმარიტი სწავლების დასაცავად.

იმ რამდენიმე მწვალებლობას შორის, რომლებიც მსოფლიო კრებების მიერ იქნა დაგმობილი, არის ორიგენესგან მომდინარე ერთ-ერთი ცრუმოძღვრება – საყოველთაო ცხონების შესახებ (ე.წ. „აპოკატასტასისი“. ἀποκατάστασις τῶν πάντων – ყოველივეს აღდგენა, დაბრუნება). სიტყვა აპოკატასტასისი (ძვ. ქართ.: კუალად-გება) რამდენჯერმე გვხვდება წმიდა წერილში, მაგალითად: „ელია მოვიდეს პირველად და კუალად-აგოს ყოველი (ელია მოვა პირველად და აღადგენს ყოველივეს)“ (მათ. 17,11). ამ სიტყვით აღნიშნავენ ხსენებულ მწვალებლობას მხოლოდ იმიტომ, რომ მასში საუბარია ყველა გონიერი ქმნილების „პირვანდელ მდგომარეობაში“ აღდგენაზე. არსებობს მოგვიანებით გავრცელებული, „აპოკატასტასისის“ განსხვავებული ვარიანტიც. ორიგენესეული „აპოკატასტასისი“ გამომდინარეობს მისი დახლართული კოსმოლოგიიდან, რომელიც სავარაუდოდ ბერძნული ფილოსოფიის შთაგონებითაა შობილი. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ორიგენე გამოთქვამს ვარაუდებს: რომ ღმერთმა ჯერ სრულყოფილი სულები შექმნა, შემდეგ, ღვთისგან განშორების შედეგად, ამ სულებისგან ზოგი ანგელოზად იქცა, ზოგი ცის მნათობად, ზოგი ეშმაკად, ზოგიც ადამიანად; ანგელოზები შეიძლება ადამიანებად იქცნენ, და პირიქით; ადამიანთა სულები სხვადასხვა სხეულებში იბადებიან ერთმანეთის მომდევნო სამყაროებში (სხვადასხვა ეონებში – „საუკუნეებში“); სიკვდილი, აღდგომა, სამსჯავრო, ჯოჯოხეთში ტანჯვა და ტანჯვის დასრულება შეიძლება მრავალჯერ განმეორდეს; სულიერი ქმნილებები ეტაპობრივად უახლოვდებიან ღმერთს და ბოლოს ყველა მათგანი სულ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგება და ეს იქნება „აპოკატასტასისი“, ანუ ყოველივეს აღდგენა. მოგვიანო „აპოკატასტასისი“, რომელიც წმ. გრიგოლ ნოსელის ნაწერებში გვხვდება, გულისხმობს გეენაში ბოროტი ანგელოზებისა და ცოდვილების ტანჯვით განწმენდას, ბოლოს ტანჯვის დასრულებას და ყველა გონიერი ქმნილების მარადიულ ნეტარებას ღვთის სასუფეველში.

დღეს ზოგიერთი გავლენიანი საეკლესიო მოღვაწის მხრიდან შეინიშნება მცდელობა ამ მოგვიანო „აპოკატასტასისის“ აღორძინებისა, რასაც რუსეთში სათავეში უდგას მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი ალექსეი ოსიპოვი. ამ ერესის მხარდამჭერი აზრები ასევე გვხვდება მრავალი პუბლიკაციის ავტორი მღვდელმთავრების: რუსეთის ეკლესიის მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევისა და დიდ ბრიტანეთში მოღვაწე დიოკლიის მიტროპოლიტის (ამჟამად პენსიონერი) კალისტოს

უეარის ნაშრომებში. ინტერნეტისა და წიგნების საშუალებით მათი მცდარი სწავლებები საქართველოს ეკლესიის წევრებამდეც აღწევს და ავტორთა პოპულარობისა და სიტყვაში დახელოვნებულობის გათვალისწინებით მორწმუნეთათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

შეიძლება ეკლესიის სწავლებაში და ისტორიაში არცთუ კარგად გარკვეულ მორწმუნეებს ამგვარი კითხვები გაუჩნდეთ: როგორ შეიძლება ასეთ მნიშვნელოვან საკითხში ცდებოდნენ ავტორიტეტული და სწავლული ადამიანები? თუ ისინი ცდებიან და ეკლესიას აზიანებენ, რატომ არ გმობს და წინ არ აღუდგება მათ მოქმედებას საეკლესიო იერარქია, რომ დაიცვას მორწმუნე საზოგადოება სიცრუისაგან? აქვთ თუ არა ერისკაცებს მღვდელმთავართა კრიტიკის უფლება?

პირველ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ეკლესიის ისტორია. ცნობილია, რომ ორიგენე და ევაგრე პონტოელი, ორიგენესეული მწვალებლობების ამაღორძინებელი, განსწავლული და მოღვაწე ადამიანები იყვნენ. მათი ზოგიერთი ნაშრომით წმიდა მამებიც სარგებლობდნენ, ევაგრეს სამოღვაწეო სწავლებები „ფილოკალიაშიცაა" შესული, მაგრამ ასეთი ნიჭიერი, სწავლული და მოღვაწე ადამიანებიც შეცდნენ და ამიტომ დაგმო ეკლესიამ მათი მცდარი სწავლებები. რატომ არ ხდება დღეს ამ მწვალებლობის გავრცელების წინააღმდეგ სათანადო რეაგირება ეკლესიის მწყემსთა მიერ, ეს საკმაოდ რთული საკითხია და ზოგადად ეკლესიაში მიმდინარე პროცესებთანაა კავშირში, რაც სხვა, ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და აქ მისი განხილვა ვერ მოხდება. ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ მის წევრებს შორის პერიოდულად ვრცელდება სხვადასხვა „დაავადებები" – მწვალებლური შეხედულებები, რომელთა კურნებაც მყისიერად არ ხდება და ზოგჯერ საუკუნეებიც კი სჭირდება. ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკლესიის სინოდის საღვთისმეტყველო კომისიამ (თავმჯდომარე მიტრ. ილარიონ ალფეევი!) განიხილა მორწმუნეების საჩივარი პროფ. ალექსეი ოსიპოვის ცდომილებებთან დაკავშირებით და ჩვენს მიერ განსახილველ საკითხზე არცთუ მთლად სრულყოფილი, მაგრამ მთლიანობაში ა. ოსიპოვის სწავლების გამამტყუნებელი განჩინება გამოიტანა, რომლის ბოლოს წერია: „ამგვარად, აზრს ჯოჯოხეთის ტანჯვათა დასრულების შესახებ და მასთან დაკავშირებულ საღვთისმეტყველო შეხედულებას არ გააჩნია საფუძველი წმიდა წერილში".[1]

მართალია სარწმუნოების დაცვა პირველ რიგში სამღვდელოების მოვალეობაა, მაგრამ როგორც ეკლესიის ისტორიიდან და ეკლესიის მოძღვართა სწავლებებიდან ვიგებთ, როდესაც არის საჭიროება, ერისკაცები უფლებამოსილნიც არიან და ვალდებულნიც, აღიარონ და დაიცვან ჭეშმარიტი მოძღვრება. ამის მაგალითია მოწამე ერისკაცების, წმიდა მეფეებისა და დედოფლების ცხოვრებები, თუნდაც წმიდა ნინოს ცხოვრება. ასევე მრავლისმეტყველია, რომ მონოთელიტობის წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე თავდაუზოგავი და სიბრძნით მეტყველი მებრძოლი იყო უბრალო მონაზონი წმ. მაქსიმე აღმსარებელი თავის ორ მოწაფესთან ერთად.

წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „ეკლესიაში არ არის ადგილი ზემდგომთა ქედმაღლობისთვის და დაქვემდებარებულთა მონური მორჩილებისთვის… თუკი მოსემ თავისი წარმართი სიმამრისგან რაღაც სასარგებლო გაიგო, რაც თვითონ არ იცოდა (გამოსლვ. 18,19-27), მით უმეტეს ასე უნდა იყოს ეკლესიაში. რა იყო იმის მიზეზი, რომ

სულიერმა (ანუ ღვთივგანბრძნობილმა – მთარგმნ. შენ.) ადამიანმა არ იცოდა ის, რაც იცოდა ურწმუნომ? – ის, რომ ყველა მაშინ მყოფს გულისხმაეყო: მოსე ადამიანია და ღვთის შეწევნას საჭიროებს. და ახლაც, თუკი ერთი არ ამბობს სასარგებლოს, დაე სხვა აღდგეს და ილაპარაკოს. თუნდაც უმცროსი იყოს, მაგრამ თუკი რაიმე სასარგებლოს გთავაზობს, მისი აზრი შერაცხე უმჯობესად, უკანასკნელიც რომ იყოს მთქმელი, ნუ დატოვებ უყურადღებოდ. რამეთუ არც ერთი მათგანი ისე არაა დაშორებული მოყვასისგან, როგორც მოსესგან იყო დაშორებული მისი სიმამრი, და ამის მიუხედავად მოსემ არა მხოლოდ მოუსმინა მას, არამედ მისი რჩევა მიიღო, მიჰყვა მას, ჩაწერა ის წიგნებში, არ შერცხვა, რომ ის ისტორიაში შეეტანა მრავალთა ამპარტავნების დასამხობად“.[2]

წმ. თეოდორე სტუდიელი მოგვიწოდებს: „უფლის მცნებაა – არ დავდუმდეთ, როდესაც სარწმუნოებაა საფრთხეში. თქვი, – ამბობს უფალი, – ნუ გაჩუმდები. „და უკუეთუ იჯმნეთ მისგან, არა სთნავს სულსა ჩემსა მას შინა“ (ებრ. 10,38); და კვლავ: „დაღათუ ესენი დუმნენ, ქვანი ღაღადებდენვე“ (ლუკ. 19,40). ამგვარად, როდესაც საქმე სარწმუნოებას ეხება, არ გვაქვს უფლება ვთქვათ: „ვინ ვარ მე? – მღვდელი არა ვარ, არც მთავარი, არც მეომარი და არც მიწათმფლობელი. მე ერთი გლახაკი ვარ, ყოველდღიური საზრდელისთვის მშრომელი. მე არ მეხება სარწმუნოებაზე საუბარი და ზრუნვა“. ვაი, რომ ქვანი ღაღადებენ, შენ კი სდუმხარ და არაფერს ზრუნავ?!“[3]

აღმოსავლეთის პატრიარქების 1848 წლის საყოველთაო ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ჩვენთან არც პატრიარქებს, არც კრებებს არასოდეს შეეძლოთ რაიმე სიახლის შემოტანა, რადგან კეთილმსახურების მცველი ჩვენთან თვით ეკლესიის სხეული, ანუ ხალხია, რომელსაც ყოველთვის სურს თავისი სარწმუნოება დაიცვას უცვლელად, ისე, როგორიც იყო მათი მამების სარწმუნოება“.[4]

ვინაიდან ხსენებული მწვალებლური სწავლების გამავრცელებელნი მრავალნი არიან, ამიტომ საჭიროება მოითხოვს, ისინი ტექსტში რაიმე სახელით მოვიხსენიოთ. ყველაზე უფრო რბილად ჟღერს ნეტარი ავგუსტინეს მიერ მისი თანამედროვე ნეოორიგენისტებისთვის შერქმეული სახელი – „მოწყალენი“. ჩვენს ტექსტშიც ამ სიტყვით იქნებიან მოხსენიებულნი ძველი „მოწყალეების“ მსგავსად მოაზროვნე თანამედროვე ავტორები.

## თავი პირველი

## რას ამბობენ თანამედროვე „მოწყალენი“

როგორ ახერხებენ მარადიული ტანჯვის უარმყოფელი (ანდა ეჭვების ბურუსში გამხვევი) „მოწყალენი“ თავისი მცდარი აზრების გავრცელებას? განა ეკლესიაში საყოველთაოდ არაა ცნობილი აშკარა ჭეშმარიტება: საშინელი სამსჯავროს შემდეგ როგორც ცხონებულთა („ცხოვართა“) ნეტარების, ასევე წარწყმედილთა („თიკანთა“) ტანჯვის დაუსრულებლობის შესახებ? სამწუხაროდ, ყველა მწვალებლობის გავრცელების მიზეზი ეკლესიის წევრთა არასაკმარისი სარწმუნოებრივი განათლებაა. წმ. თეოფანე დაყუდებული ამბობს: „იმისათვის, რომ დავიცვათ ჭეშმარიტება, უნდა გაგვაჩნდეს იგი, ხოლო ამისათვის მისი შეცნობაა საჭირო. ამგვარად, ყველა მცნობელი ქრისტიანული ჭეშმარიტებისა ხდება მისი შემნახველი, დამცველი, მფარველი. რაც მეტია მცნობელი ჭეშმარიტებისა, მით უფრო ძლიერადაა იგი დაცული; მით უფრო უსაფრთხოდაა – არა თავისთავად, არამედ ადამიანთა შორის; და პირიქით, რაც ნაკლებია ჭეშმარიტების მცნობელი, მით უფრო ნაკლებია ზღუდეები სიცრუის წინააღმდეგ, მით უფრო საშიშია ჭეშმარიტების მდგომარეობა ჩვენს შორის; ეს იმიტომ, რომ როცა რომელიმე ცრუ სწავლება გამოჩნდება, ჭეშმარიტების უცოდინარი არ შეაჩერებს მას, რადგან ვერაფრით შეძლებს მის გამოცნობასა და მხილებას; ამ კაცისგან სიცრუე სხვა უცოდინართან გადავა, მეორისგან – მესამესთან და ასე შემდეგ; სიცრუე დამკვიდრდება ხალხში და შეავიწროებს ჭეშმარიტებას. განა მართალი იქნება იგი, ვინც არ შეაჩერა სიცრუე?! – არანაირად. ეს იგივეა, მეომარს დაუდევრობის გამო საიდუმლო ნიშანი რომ გამოეპაროს და მტერი ბანაკში შეუშვას. გამოდის, რომ ყველა არმცოდნე ჭეშმარიტებისა მისი გამცემია და გამცემია მორწმუნეთა საზოგადოებისა ანუ წმიდა ეკლესიისა. მკაცრი ნათქვამია? დიახ, მაგრამ ესაა სიმართლე“.[5]

„მოწყალეთაგან“ ძირითადად ამგვარი (ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო) „არგუმენტები“ შეიძლება მოვისმინოთ: ორიგენეს მოძღვრება არ დაუგმია მეხუთე მსოფლიო კრებას; ორიგენეს მოძღვრება შეიძლება დაიგმო მეხუთე მსოფლიო კრებაზე, მაგრამ წმ. გრიგოლ ნოსელის მოძღვრება არ დაგმობილა, რომელიც სულაც არაა ორიგენესეული მწვალებლობა; წმიდა მამების ნაწილი აღიარებს „აპოკატასტასისს“; წმიდა წერილის ციტატებს ამ საკითხზე პედაგოგიური დანიშნულება აქვს; ღვთის სიყვარულთან შეუთავსებელია მარადიული ტანჯვა; წმიდა წერილი და წმიდა მამები ხან ტანჯვის მარადიულობაზე საუბრობენ, ხან მის დასრულებაზე, რადგან მარადისობის საიდუმლო ადამიანისთვის დაფარულია; და ა.შ.

განვიხილოთ ამ ცრუმოძღვრების ყველაზე ავტორიტეტული გამავრცელებლების ნააზრევი და შევადაროთ ის წმიდა მამების სწავლებას.

მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი წიგნში „სარწმუნოების საიდუმლო“ წერს: „ლიტურგიულ ტექსტებში, კერძოდ დიდი შაბათის კანონში, ჩვენ ვხვდებით მინიშნებას იმის შესახებ, რომ ჯოჯოხეთის მეუფება მასში მყოფებზე არაა მარადიული... ეს სიტყვები ეხმიანება წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებას იმის შესახებ, რომ მსოფლიო ისტორიის ბოლოს, გრძელი საუკუნებრივი პერიოდების შემდეგ ჯოჯოხეთი და

სიკვდილი საბოლოოდ გაუქმდება ქრისტეს მიერ და „არაფერი დარჩება სიკეთის გარდა“. გრიგოლ ნოსელს ეთანხმება ღირსი ისააკ ასური, რომელიც წერდა იმის შესახებ, რომ „ადამიანთა უმეტესობა შევა ცათა სასუფეველში გეენის გამოუცდელად“; რაც შეეხება მათ, ვინც გეენაში აღმოჩნდება, მათთვისაც ტანჯვა არ იქნება მარადიული[6]“.[7]

იმავე წიგნში: „ეკლესიამ ორიგენიზმი უარყო, თუმცა არ უარყო ყველა ადამიანის ცხონების ის იმედი და საყოველთაო ცხონების შესაძლებლობის რწმენა, რომელიც ამოზრდილია ეკლესიის ლიტურგიული და მისტიური გამოცდილებიდან. ეს სასოება და რწმენა არეკლილია ზოგიერთი მამის ნაწერებში, რომელთა შორის, უკვე მოხსენიებული გრიგოლ ნოსელისა და ისააკ ასურის გარდა, უნდა ჩაითვალოს ასევე ღირსი იოანე კიბისაღმწერელი, რომელიც თვლიდა, რომ „მართალია ყველას არ ძალუძს უვნებელობის მიღწევა, მაგრამ ყველას ცხონება და ღმერთთან შერიგება არაა შეუძლებელი“.[8]

წიგნში „ღირსი ისააკ ასურის სულიერი სამყარო“: „თავისი შეხედულებების დასამტკიცებლად ისააკი ეყრდნობა თეოდორე მოფსუესტელის სწავლებას იმის შესახებ, რომ მომავალ საუკუნეში ტანჯვა არაა დაუსრულებელი, ასევე დიოდორე ტარსელის აზრებს, რომელიც თვლიდა, რომ ცოდვილთა ტანჯვა გეენაში ხანმოკლეა, ხოლო იქიდან განთავისუფლების შემდეგ მათი ნეტარება – მარადიული“.[9]

იმავე წიგნში: „რაც შეეხება კონსტანტინოპოლის 543 წლის კრებას და მეხუთე მსოფლიო კრებას, რომლებზედაც დაგმობილ იქნა ორიგენიზმი, ძალიან საგულისხმოა, რომ მართალია, გრიგოლ ნოსელის სწავლება საყოველთაო ცხონების შესახებ კარგად იყო ცნობილი ორივე კრების მამებისთვის, ის არ გააიგივეს ორიგენიზმთან. კრებების მამები აცნობიერებდნენ, რომ არსებობს საყოველთაო ცხონების მწვალებლური გაგება (ორიგენიზმისეული აპოკატასტასისი, დაკავშირებული სულთა წინასწარ არსებობის იდეასთან), მაგრამ არსებობს მისი მართლმადიდებლური გაგებაც, დაფუძნებული 1 კორ. 15,24-28-ზე“.[10]

ვიდრე „მოწყალეთა“ „არგუმენტების“ დეტალურ განხილვაზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ისევე როგორც ზოგადად მწვალებლობების გამავრცელებლებს სჩვევიათ, ამ შემთხვევაშიც მთავარი „იარაღებია“ წმიდა წერილისა და წმიდა მამების ნაწერების ტენდენციური განმარტება, ასევე ციტატების კონტექსტის გარეშე მოტანა და შემოკლება იმ მიზნით, რომ მკითხველმა წმიდა მამის აზრი სხვაგვარად გაიგოს. აქ ერთ თვალსაჩინო მაგალითს განვიხილავ. პროფ. ა. ოსიპოვის წიგნში „დროდან მარადისობაში. სულის სიკვდილშემდგომი ცხოვრება“ (თავი: „ქრისტე – მაცხოვარი ყოველთა კაცთა“) მოტანილია წმ. ირინეოს ლიონელის ციტატა ამგვარად: «Христос пришел не ради тех только, которые уверовали в Него, но для всех вообще людей, которые ... желали видеть Христа и слышать Его голос. Посему всех таковых Он во втором пришествии Своем прежде воздвигнет ... воскресит и поставит в Свое Царство».[11] სრული ტექსტი კი ასეთია: Ибо Христос пришел не ради тех только, которые <u>во времена Тиверия кесаря</u> уверовали в Него, <u>и Отец оказал Свое помышление не ради ныне только живущих людей</u>, но для всех вообще людей, которые <u>от начала в своем поколении по силе боялись и любили Бога и праведно и благочестиво вели себя в отношении к ближним и</u> желали

видеть Христа и слышать Его голос. Посему, всех таковых Он во втором пришествии Своем прежде воздвигнет от сна и как их, так и прочих, имеющих судиться, воскресит и поставит в Свое царство.[12] ხაზგასმული სიტყვები გამოტოვებულია, თანაც ისე, რომ მთავარი (პირველი) შემოკლება აღნიშნულიც არაა, რაც ტექსტის სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აქვე აღსანიშნავია, რომ ტექსტის ბოლო ნაწილის რუსული თარგმანი არასწორია და წმიდა მამის მიერ გადმოცემულ აზრს ცვლის. ლათინურიდან ზუსტი თარგმანი ასეთია: „აქედან გამომდინარე ყველა ამგვარს (ქრისტე) მეორედ მოსვლისას ჯერ ძილიდან გამოიყვანს და აღადგენს, როგორც მათ, ასევე დანარჩენებს, ვინც განისჯება, და თავის სამეუფოში დაამკვიდრებს".[13]

ლიტურგიულ ტექსტებში საუბარია იესო ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთისა და სიკვდილის შემუსვრაზე იმ მნიშვნელობით, რომ ჯოჯოხეთის ტყვეობისგან გამოხსნილნი არიან მართალთა სულები. „აპოკატასტასისზე" იქ საუბარი არაა, ისევე როგორც წმ. იოანე სინელის ციტატაში, რომლის აზრი შემდეგია: ნებისმიერი ადამიანი ვერ მიაღწევს უვნებელობას, მაგრამ ცხონება ყველასთვის შესაძლებელია. (წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი: „ყოველთავე უვნებელ-ყოფაჲ შეუძლებელ არს, ხოლო ყოველთა ცხორებაჲ და ღმრთისა სათნო-ყოფაჲ არა შეუძლებელ არს"[14]).

„მოწყალენი" იშველიებენ ხოლმე წმ. იოანე სინელის სხვა ციტატასაც: „ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოების მათ. რამეთუ იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხორებაჲ – ურწმუნოთა და მორწმუნეთაჲ, მართალთა და ცოდვილთაჲ, უვნებელთა და ვნებულთაჲ... რამეთუ არა არს შეცვალებაჲ მის თანა, არცა თუალღებაჲ წინაშე ღმრთისა".[15] მიუკერძოებელი მკითხველისთვის ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ამ ციტატასაც არაფერი აკავშირებს „აპოკატასტასისთან". თუ წმიდა მამის სიტყვებს: „იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხორებაჲ – ურწმუნოთა და მორწმუნეთაჲ, მართალთა და ცოდვილთაჲ", „მოწყალეთა" მსგავსად გავიგებთ, თითქოს ღმერთი განურჩევლად ყველას აცხოვნებს, გამოვა, რომ ეკლესიის უდიდესი მამა წიგნის დასაწყისში უარყოფდა იმას, რისთვისაც ამხელა შრომა გასწია და ასეთი ძვირფასი ნაშრომი დაგვიტოვა სწორედ სამუდამო წარწყმედისგან გადასარჩენად.

წმიდა იოანე, სხვა წმიდა მამებთან თანხმობით, მრავალგზის იმეორებს, რომ ერთ-ერთი მთავარი საშუალება ცოდვებთან საბრძოლველად არის სიკვდილისა და სამუდამო სატანჯველის ხსოვნა, და აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სამუდამო ტანჯვის შესახებ ეკლესიის სწავლების ეჭვქვეშ დაყენება ცოდვას უხსნის გზას. სინამდვილეში „მოწყალეთა" მიერ მოხმობილი წმ. იოანეს სიტყვები იმას გვეუბნება, რომ ღმერთს განურჩევლად ყველა ადამიანის ცხონება სურს და ყველას აქვს ცხონების შესაძლებლობა, გამონაკლისის გარეშე. ეს რომ ნამდვილად ასეა, ცხადად ჩანს ამ წმიდა მამის სხვა ციტატებიდანაც: „ყველა, განსაკუთრებით დაცემულნი, უნდა გაფრთხილდნენ, რომ გულში ულმერთო ორიგენეს საცდური არ შეუშვან; რამეთუ მისი ბილწი სწავლება, რომელიც ღმერთის კაცთმოყვარებას წარმოგვიდგენს, მეტად სასიამოვნოა გემოთმოყვარეთათვის".[16] (წმ. ეფთვიმეს თარგმანი: „ვეკრძალნეთ ყოველნი და უფროჲს ხოლო – დაცემულნი, რაჲთა არა დაემკვიდროს გულთა ჩუენთა ულმრთოჲსა ოროგინეს სენი, რამეთუ ღმრთისა კაცთმოყუარებასა წინაჰყოფს ბილწი იგი, და შესაწყნარებელ იქმნების გემოჲსმოყუარეთა და უდებთა მიერ"[17]). სრულიად

შეუძლებელია, რომ წმიდა მამა ერთ მუხლში მწვალებლობას ქადაგებდეს, მეორეში კი მას ბილწ სწავლებას უწოდებდეს და ყველას მოუწოდებდეს მისგან თავის დაცვას. „უღმრთოჲსა ოროგინეს სენი“, რომელიც „ღმრთისა კაცთმოყუარებასა წინაჰყოფს“, ცხადია, საუკუნო ტანჯვის დასრულების შესახებ ცრუმოძღვრებაა, რომელიც აკავშირებს ძველ და ახალ „აპოკატასტასისს“.

სხვა ადგილას წმ. იოანე ამხელს მეოთხე საუკუნის ორიგენიზმის მთავარ იდეოლოგს, ევაგრე პონტოელს. მართალია, საუბარია ასკეტურ საკითხზე, მაგრამ კარგად ჩანს წმ. იოანეს დამოკიდებულება ევაგრეს სხვა მცდარი ნააზრევის მიმართაც: „ჰგონებდა უბადრუკი და საწყალობელი ევაგრე, ვითარმედ უბრძნეს ბრძენთა არს სიტყვითა და გულისხმისყოფითა, არამედ სცთა უგულისხმოჲ იგი, და უგუნურთა უუგუნურეს იპოვა მრავალთა ზედა საქმეთა...“.[18]

სახარება ძალიან გასაგებად ასწავლის იმასაც, რომ ღმერთი ყველა ადამიანს აძლევს ცხონების შესაძლებლობას, და იმასაც, რომ „ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას“ (მათ. 7,13-14). წმ. თეოფილაქტე ბულგარელი ამბობს: „‘მრავალ არიან ჩინებულნი’ (მათ. 22,14), ანუ ღმერთი მოუწოდებს მრავალთ, უფრო ზუსტად, ყველას, მაგრამ ‘მცირედ – რჩეულნი’ – ცოტანი არიან, ვინც ცხონდებიან და ღვთის რჩეულობის ღირსნი გახდებიან“.[19]

რაც შეეხება ციტატებს, რომლებსაც წმიდა ისააკ ასურს მიაწერენ, მღვდელმონაზონმა (ამჟამად მიტროპოლიტი) ილარიონ ალფეევმა თარგმნა და გამოსცა ძველი ასურული ხელნაწერის ტექსტი. მკვლევართა ნაწილი ამ ხელნაწერში შემავალ სწავლებებს წმ. ისააკ ასურს მიაკუთვნებს. ეს არის მწვალებლური აზრების შემცველი სწავლებები, რომლის ავტორისთვის (ან ავტორებისთვის), როგორც ზემოთ მოტანილი ციტატიდანაც ჩანს, ავტორიტეტები არიან მწვალებელთა წინამძღოლი – თეოდორე მოფსუესტელი და მისი მასწავლებელი დიოდორე ტარსელი. თეოდორეცა და მისი მწვალებლური სწავლებებიც მეხუთე მსოფლიო კრებამ ანათემას გადასცა. წიგნში კი თეოდორე მოფსუესტელის ავტორიტეტი ასეა შეფასებული: „ჩვენ არ უარვყოფთ მის სიტყვებს – ნუ იყოფინ! პირიქით, მას ვიღებთ როგორც ერთ-ერთ მოციქულს, და ყველა, ვინც მის სიტყვებს ეწინააღმდეგება, ვისაც შემოაქვს დავა მისი განმარტებების გამო ან ეჭვობს მის თხზულებებთან მიმართებით, – ასეთს ჩვენ ვთვლით საეკლესიო ერთობისათვის უცხოდ და ჭეშმარიტების წინააღმდეგ მცოდველად“.[20] როგორც მკვლევრები ამბობენ, ეს ხელნაწერი სავარაუდოდ ერთ ავტორს არ ეკუთვნის; სწავლებათა ტექსტები დროთა განმავლობაში შესწორებებს განიცდიდნენ (შესაძლოა მწვალებლური აზრები შემდეგაა ჩამატებული); ისინი ეკლესიის მიერ მიღებული ბერძნულად თარგმნილი სწავლებებისგან განსხვავდებიან ესქატოლოგიურ მოძღვრებაში და ეგზეგეტურ მეთოდებში, წინააღმდეგობაა ასევე ამ ხელნაწერში შემავალ სწავლებებს შორის.[21]

საუკუნეების წინ წმ. ისააკ ასურის სწავლებების ასურულიდან ბერძნულ ენაზე მთარგმნელებმა, როგორც ჩანს, ხსენებული ახლად აღმოჩენილი ტექსტების თარგმნა ეკლესიისთვის საზიანო საქმედ მიიჩნიეს, თუმცა მიტროპოლიტი ილარიონი სხვა

შეხედულებას გამოხატავს. წმ. ისააკ ასურის სწავლებებისადმი მიძღვნილი წიგნის ბოლოსიტყვაობაში ის წერს: „ისააკ ასურის სიტყვა იმ ადამიანებისადმია მიმართული, ვისაც არ ეშინია, ღვთის სიყვარულს პირისპირ შეხვდეს. ეს შეხვედრა შეიძლება მტკივნეული იყოს მათთვის, ვისაც არა აქვს „მოწყალე გული“ მოყვასთან მიმართებით, ვინც შურითა და ეჭვიანობითაა შეპყრობილი, ვინც საკუთარ თავზე უფრო მეტად ფიქრობს, ვიდრე სხვებზე. ის ადამიანი, ვინც გულწრფელადაა დარწმუნებული, რომ თვითონ ცხონდება, სხვები კი წარწყმდებიან, ვერ შეძლებს ადეკვატურად გაიგოს ისააკის სიტყვა ყოვლადმოწყალე ღმერთის მიერ ყველა ადამიანის ცხონების შესახებ“.[22] სამწუხაროა, მაგრამ ამ სიტყვებიდან ის აზრი გამოდის, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანების სრული კრებული ან შურიანი და ეგოისტი ადამიანების ერთობა ყოფილა, ანდა სხვა რამე სწამდათ და სხვას ქადაგებდნენ.

როდესაც წმიდა მამები მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ, მათთვის პირველ ადგილზე იდგა საყოველთაოდ აღიარებულ ეკლესიის სწავლებასთან სრული თანხმობა და მორწმუნეთათვის სულიერი სარგებლობის მოტანა ამ სწავლებასთან ზიარებით. ნებისმიერ შემთხვევაში სწავლება ფასდებოდა არა მხოლოდ მისი ავტორის წმინდანობითა და სახელმოხვეჭილობით, არამედ აუცილებლად ექცეოდა ყურადღება იმას, შეესაბამებოდა თუ არა ეს სწავლება ეკლესიის მამათა საერთო აზრს. მაგალითად, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა წმ. გრიგოლ ნოსელისა და წმ. გრიგოლ დიდის სწავლებების თარგმნისას გამოტოვა ან შეასწორა ის ადგილები, სადაც ეკლესიის სწავლებასთან შეუსაბამო აზრები შენიშნა. ნეტარმა იერონიმემ ორიგენეს და მისი ერთ-ერთი დამცველის სამხილებლად ლათინურად თარგმნა ორიგენეს თხზულება, რომელიც მწვალებლურ აზრებს შეიცავდა. ამის შესახებ მან ამგვარი რამ დაწერა: „იმისათვის, რომ ვინმემ გადათარგმნილის გულშემატკივრად არ ჩამთვალოს, თარგმანის უხერხულობა შესავალით შემოვზღუდე და ვაჩვენე, რა არ უნდა დაიჯეროს მკითხველმა“.[23] ასე რომ, წმ. ისააკ ასურის ავტორიტეტის მოშველიებით მწვალებლური აზრების გავრცელება სარწმუნოებრივი სწავლების ავტორიტეტულობის მართლმადიდებლურ გაგებასთან სრულიად შეუსაბამოა.

მიტროპოლიტი კალისტოს უეარი სტატიაში „ცხონების გაგება მართლმადიდებლურ ტრადიციაში“ წერს: „ღმერთს ყველა ადამიანის ცხონება სურს. ნუთუ გვჯერა, რომ ღვთის განზრახვა წარუმატებელი იქნება? თუ ჩვენ უნდა ვსასოებდეთ საბოლოო აპოკატასტასისს – ყოველივეს „აღდგენას“, რომელშიაც ყველა გონიერი ქმნილება (ეშმაკის ჩათვლით) ცხონდება? სწორედ ამგვარ სწავლებას საყოველთაო ცხონების შესახებ იცავდა ორიგენე. ამის გამო მსჯავრდებულ ჰყო იგი მეხუთე მსოფლიო კრებამ. წმ. გრიგოლ ნოსელიც ასევე გამოხატავდა ეშმაკის საბოლოო ცხონების იმედს, მაგრამ ამას უფრო ფრთხილად აკეთებდა და ამიტომაც არ იქნა მსჯავრდებული. ამიტომ მართლმადიდებლობაში სწავლება „აპოკატასტასისზე“ (თავშეკავებული ვარიანტით) კანონიერ ადგილს იკავებს“.[24] ამ ციტატაში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია დაყენებული და შეფარულად პასუხიცაა გაცემული: თუკი ღმერთს ყველა ადამიანის ცხონება სურს, ასეც მოხდება, და ამიტომ: „მართლმადიდებლობაში სწავლება „აპოკატასტასისზე“ (თავშეკავებული ვარიანტით) კანონიერ ადგილს იკავებს“. მაგრამ წმიდა მამები ასე არ ასწავლიან. აქ წარმოგვიდგება თავისუფალი არსებების

თავისუფალი ნების საიდუმლო, რომელიც ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია. მიტროპოლიტ კალისტოსის კითხვას დიდი ხნის წინ უპასუხა წმ. იოანე ოქროპირმა: „რატომ ვერ ცხონდება ყველა, თუკი მას (ღმერთს) ყველას ცხონება სურს? – იმიტომ, რომ ყველას ნება არ ეთანხმება მის ნებას, ხოლო ის არავის აიძულებს“.[25]

პროფესორი ალექსეი ოსიპოვი წიგნში „დროდან მარადისობაში. სულის სიკვდილშემდგომი ცხოვრება“ წერს: „ჯოჯოხეთზე ქრისტეს სრული გამარჯვების ამ ზეიმისა და მთელი სამყაროს ცხონების შესახებ გადაჭრითაა ნათქვამი ცნობილ სააღდგომო სიტყვაში: „ნუვინ ჰსძრწინ და ეშინინ სიკუდილისაგან, რამეთუ განმათავისუფლნა ჩუენ სიკუდილმან მაცხოვრისამან და დაშრიტა მათთვის, რომელნი პყრობილ იყუნეს მისგან. წარმოსტყუენა ჯოჯოხეთი, შთაჰხდა რა მას შინა“. ამ სიტყვის კონტექსტი აშკარაა: არა მხოლოდ მართალთათვის, არამედ ვნებებისგან დატანჯული ცოდვილებისთვისაც მოვლენილია ხსნა მარადიული სულიერი სიკვდილისაგან მომავალი საყოველთაო აღდგომისას“.[26]

იქვე: „გამოცხადების (Откровения) ბრძნული ორაზროვნება (двойственность) ადამიანის ცხოვრების ამ მთავარ საკითხში (მარადიული ცხონება-წარწყმედის საკითხი – მთარგმნ. შენ.) მართლმადიდებელ ეკლესიას ხსნის მძიმე ბრალდების ბეჭედს, თითქოსდა ის უპირობოდ ასწავლიდეს მთელი კაცობრიობის (მცირე გამონაკლისით) მარადიულ წარწყმედას“.[27]

იგივე ავტორი წიგნში „ღმერთი“: „წმიდა წერილი და ეკლესიის წმიდა გარდამოცემა მისი წმიდა მამებისა და მოძღვრების სახით ამ კითხვაზე, როგორც უკვე აღნიშნულია, ორგვარად პასუხობენ: ერთი მხრივ ხდება დამტკიცება, რომ მარადიულ ცხოვრებას მთელი სრულყოფილებით მიიღებენ მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში მართლად მცხოვრებნი, ხოლო ყველა მისი ცოდვილი წევრი და ყველა არამართლმადიდებელი მუდმივად დაიტანჯება; მეორე მხრივ – ქრისტეს მსხვერპლის წყალობით ყველა ადამიანი გაივლის ჩადენილი ცოდვებისა და ამოუძირკვავი ვნებების შესაბამის მტკივნეულ მკურნალობას (და არა შურისგებას) და ასევე დაიმკვიდრებს მარადიულ ცხოვრებას. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, რომელშიც ეს თემა განიხილება, ჩვეულებრივ, ციტირებულია წმიდა წერილის და წმიდა მამების ის ტექსტები, სადაც საუბარია ჯოჯოხეთის მარადიულობაზე და არაა ნახსენები მრავალრიცხოვანი საწინააღმდეგო მოწმობები. ცხადია, ამას მხოლოდ გაკვირვების გამოწვევა შეუძლია. ძირითადი კითხვა, რომელიც პირველი თვალსაზრისის წინაშე დაისმის: თუკი ღმერთი სიყვარულია, მაშ, ნუთუ შეეძლო არსებობა მიენიჭებინა იმ უსასრულოდ მრავალრიცხოვანი ადამიანისთვის, რომელთა შესახებაც იცოდა, რომ ისინი აირჩევენ ცოდვას და წავლენ დაუსრულებელ ტანჯვაში? განა ასეთი დაშვებით არ ირყევა ძირითადი ქრისტიანული ჭეშმარიტება ღმერთი-სიყვარულის შესახებ?“[28]

იმავე წიგნში: „მართლმადიდებლობა, როგორც სიყვარულის რელიგია, ახსენებს ადამიანს: „მეყსეულად მსაჯული იგი მოვიდეს და თითოეულისა საქმენი განშიშულდენ“ (დილის ლოცვა). ამიტომ, სანამ გვიან არაა, სანამ არის დრო, მოგვიწოდებს იგი, მთელი ძალა მოიკრიბე, ადამიანო, იმისთვის, რომ აქ სინდისით იცხოვრო, აქ განიბანო სინანულით, და ამგვარად იქ გადაურჩე მძიმე, მაგრამ არა მარადიულ ტანჯვას. წმ. ისააკ ასური გვაფრთხილებს: „სულიერად ვიფხიზლოთ, საყვარელნო, და შევიგნოთ,

რომ მართალია გეენა შემოსაზღვრულია, მაგრამ მეტად საშინელია მასში ყოფნის გემო და ტანჯვის ხარისხი ჩვენი შემეცნების მიღმაა“.[29] აღსანიშნავია, რომ ციტატა ისააკ ასურის სახელით მოტანილია მიტრ. ილარიონ ალფეევის მიერ გამოცემული მწვალებლობათა შემცველი წიგნიდან.

რუსეთის ეკლესიის სინოდის საღვთისმეტყველო კომისიის დასკვნით უკმაყოფილო ა. ოსიპოვმა საპასუხო წერილი დაწერა, სადაც ოდნავ შერბილებულად იმეორებს თავის ცრუმოძღვრებებს. ამ წერილში ასეთ აზრსაც ვკითხულობთ: „იმის მტკიცებით, რომ „აზრი ჯოჯოხეთის ტანჯვათა დასრულების შესახებ... ვერ პოულობს საფუძველს წმიდა წერილში“, „დასკვნის“ ავტორები ავტორიტეტულად აცხადებენ, რომ სამუდამოდ დაიღუპება ყველა არაქრისტიანი, ყველა არამართლმადიდებელი, ყველა ცოდვილი (неправедный) მართლმადიდებელი (დღეს დედამიწაზე 7 მილიარდზე მეტი ადამიანია, მართლმადიდებელი – დაახლოებით 250 მილიონი, რომელთაგან ეკლესიური დაახლოებით 10 %. და რამდენია მართალი (праведник) მათ შორის?). ანუ, ფაქტიურად, (აცხადებენ) მთელი კაცობრიობის წარწყმედის შესახებ! როგორი რეზონანსი და როგორი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარ განცხადებას ქრისტიანობის ქადაგებისთვის და ეკლესიის მისიონერული საქმიანობისთვის?“[30] პროფ. ა. ოსიპოვის ლოგიკით გამოდის, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავისი სარწმუნოების აღსარება კაცობრიობის „პროგრესული“ ნაწილის ჰუმანისტურ-ეკუმენისტურ შეხედულებებს უნდა შეუსაბამოს, მაგრამ ჩვენთვის ყველა პროფესორზე აღმატებული ავტორიტეტი, წმ. ათანასე დიდი გვეუბნება: „ღმერთს უნდა ვემსახუროთ და არა დროებას“.[31] ხატმბრძოლებიც იშველიებდნენ „არგუმენტს“, რომ ხატების თაყვანისცემის გამო მაჰმადიანები და იუდეველები ბრკოლდებიანო, მაგრამ, ცხადია, ეკლესია ვერ გაიზიარებს ვერანაირ „არგუმენტს“ ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ.

## თავი მეორე

## პასუხი „მოწყალეთა“ „არგუმენტებზე“

ვიდრე უშუალოდ „არგუმენტებს“ განვიხილავდეთ, განვსაზღვროთ ის უმთავრესი საკითხი, თუ რა პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს მორწმუნემ იმ შემთხვევაში, როცა ეკლესიის წევრთა შორის სარწმუნოებრივ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ცხადია, უმაღლესი ავტორიტეტი წმიდა წერილია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ წმიდა წერილს სწორი განმარტება სჭირდება; ყველა მწვალებლობა სწორედ მისი არასწორი განმარტების შედეგად წარმოიშვა. წმიდა წერილის ყველაზე სანდო განმმარტებლები წმიდა მამები არიან. როგორც წმ. კირილე ალექსანდრიელი ამბობს: „ყველა, ვისაც ჯანსაღი გონება აქვს, ცდილობს წმიდა მამათა სწავლებას მისდიოს“;[32] ნეტარი ავგუსტინეს სწავლებით: „ვინც განეშორება მამათა ერთსულოვან თანხმობას, ის მთელ ეკლესიას განეშორება“.[33] მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა წმინდანების სწავლებებიც ურთიერთსაპირისპიროა, ანდა ასე გვეჩვენება. ასეთ შემთხვევაში წმიდა ბიკენტი ლირინელი გვირჩევს: „მათ (წმიდა მამებს) შემდეგი წესის დაცვით უნდა ვერწმუნოთ: რასაც ყველანი, ან მათი უმეტესობა, ერთხმად ილებდა, იცავდა და განცხადებულად გადმოსცემდა, თანაც უყოყმანოდ, თითქოსდა ეკლესიის მოძღვართა შორის არსებული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ის უნდა მივიჩნიოთ უეჭველად, სარწმუნოდ და უცილობლად; ხოლო რასაც ვინმე, თუნდაც წმინდანი, ან მეცნიერი, აღმსარებელი ან მოწამე განსხვავებულად განსჯიდა და ეწინააღმდეგებოდა კიდეც ყველას, – ჯეროვანია, რომ ეს ნააზრევი მივაკუთვნოთ მის პირად, დაფარულ, კერძო მოსაზრებებს და განვასხვაოთ საერთო, განცხადებული და საჯარო რწმენის ავტორიტეტისაგან“.[34]

„მოწყალეთა“ „არგუმენტების“ მცდარობის დასამტკიცებლად აუცილებელია ისინი ეკლესიის წმიდა მოძღვართა სწავლებებს შევუდაროთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ წმიდა მამების აბსოლუტური უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ როგორც დაცემულ ანგელოზთა, ასევე საშინელი სამსჯავროს შემდეგ გეენაში წარგზავნილ ცოდვილთა ტანჯვა იქნება მარადიული, ისევე როგორც მართალთა ნეტარება ცათა სასუფეველში. წმიდა მამები აზრებს და სწავლებებს გეენის ტანჯვის დასრულების შესახებ ასე აფასებენ: „ეშმაკის ერთ-ერთი ხრიკია“ (წმ. ბასილი დიდი); „სრული უაზრობაა“ (ნეტარი ავგუსტინე); „სატანური აზრია, რომელიც ამაო ალერსით უზრუნველობაში აგდებს“ (წმ. იოანე ოქროპირი); „ბილწი სწავლებაა... სასიამოვნოა გემოთმოყვარეთათვის“ (წმ. იოანე სინელი); მისით ცდუნებულნი მიჰყვებიან „დემონებს და მათ სწავლებას“ (წმ. ბარსანოფი დიდი); „თუკი ვიტყვით, რომ სასჯელს დასასრული ექნება, ამით მთელ ახალსა და ძველ აღთქმას მცდარად ვაღიარებთ“ (წმ. ანასტასი სინელი); „ბნელი და დამღუპველი შხამია“ (წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი); „მოწოდებაა ყოველგვარი ცოდვისა და დაღუპვისკენ“ (წმ. პატრიარქი ფოტი); „უგუნური აზრია“ (წმ. თეოფილაქტე ბულგარელი); „ყველა სწავლებაზე უფრო არაადამიანურია“; „ეკლესიის დამაზიანებელი და გულმოდგინეთა დამასუსტებელია“; (წმ. მარკოზ ეფესელი); „რომელი სიტყვა შეიძლება იყოს ამაზე უსჯულო?“ (წმ. სვიმეონ თესალონიკელი).

(ციტატები აღებულია ქვემოთ მოტანილი მამათა სწავლებებიდან).

ცნობილი რუსი ისტორიკოსი, პატროლოგი, წმიდა მამათა სწავლებების მთარგმნელი ალექსეი სიდოროვი წერს: „თუნდაც დაშვება „ყველას აღდგენისა“ („აპოკატასტასისის“) არის ქრისტიანობის ფუნდამენტური საფუძვლების შერყევა, და აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი არქიერესი... და თუკი ყველა წესიერი და გონიერი ადამიანი ცხადად აცნობიერებს, რომ მას არა აქვს უფლება თავისი ნებისმიერი აზრის გამოთქმისა, მით უმეტეს ამას უნდა აცნობიერებდეს ის, ვისაც საეკლესიო მსახურება აქვს მინდობილი“.[35]

## ა) რომელი საეკლესიო კრებების მიერ იქნა დაგმობილი ორიგენეს ცრუმოძღვრებები

ზოგიერთი „მოწყალის“ მიერ „აპოკატასტასისის“ დასაცავად გამოითქვა მოსაზრება, რომ ორიგენეს ცრუმოძღვრებები დაიგმო არა მეხუთე მსოფლიო კრებაზე, არამედ მხოლოდ კონსტანტინოპოლის ადგილობრივ კრებაზე. სანდო ისტორიული წყაროები ამტკიცებენ, რომ ორიგენე და მისი ცრუმოძღვრებები დაგმობილ იქნა მრავალ საეკლესიო კრებაზე, მათ შორის: ალექსანდრიის 399 წლის კრებაზე, კონსტანტინოპოლის 543 წლის კრებაზე, მეხუთე მსოფლიო კრებაზე, წმ. რომის პაპ მარტინესა და წმ. მაქსიმე აღმსარებლის თაოსნობით მოწვეულ ლატერანის 649 წლის კრებაზე (XVIII კანონი),[36] მეექვსე მსოფლიო კრებაზე, ტრულის კრებაზე, მეშვიდე მსოფლიო კრებაზე. ორიგენეს მწვალებლობებთან ერთად ამ კრებებზე ასევე დაგმეს მისი ცდომილებების ამაღორძინებლების: ევაგრე პონტოელისა და დიდიმე ალექსანდრიელის ცრუსწავლებები.

### კონსტანტინოპოლის 543 წლის ადგილობრივი კრების მეცხრე ანათემატიზმი

ვინც ამბობს ან თვლის, რომ დემონებისა და უკეთური ადამიანების სასჯელი დროებითია და რამდენიმე ხნის შემდეგ იგი დასრულდება, ან შემდგომში იქნება აღდგენა (აპოკატასტასისი) დემონებისა და უსჯულო ადამიანებისა – იყავნ ანათემა.[37]

### მეხუთე მსოფლიო კრების მეთერთმეტე ანათემატიზმი

თუკი ვინმე არ შეაჩვენებს არიოზს, ევნომიოსს, მაკედონიოსს, აპოლინარის, ნესტორს, ევტიქის და ორიგენეს მათი უსჯულო ნაწერებითურთ... ასეთი შეჩვენებულ იყოს.[38]

### წმ. სოფრონ იერუსალიმელის საყოველთაო ეპისტოლე, წაკითხული მეექვსე მსოფლიო კრებაზე

ხოლო ჩვენ... განვაგდებთ მათ (ორიგენეს მიმდევრების) ყველა ბნელ სწავლებას და მათი უაზრო ამაოდმეტყველებისგან თავისუფალნი და ჩვენი მამების ნაკვალევზე მავალნი ვამბობთ ამ სამყაროს დასასრულის შესახებაც და გვწამს, რომ აწმყო ცხოვრების შემდეგ მარადიულად გაგრძელდება ის სხვა ცხოვრება. აგრეთვე

ვაღიარებთ დაუსრულებელ სასჯელსაც. პირველი (მარადიული ცხოვრება) მარადიულად სიხარულის მომცემი იქნება მშვენიერ საქმეთა აღმასრულებლებისთვის, ხოლო უკანასკნელი (სასჯელი) განუწყვეტლივ დაამწუხრებს და შეუჩერებლად დატანჯავს მათ, ვინც აქ ბოროტების მიმდევარი იყო და ვინც აქედან განსვლამდე მონანიება არ მოისურვა. რამეთუ ქრისტე – მსაჯული და ჭეშმარიტება ამბობს: „მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების" (მარკ. 9,46). ასე ზრახვა და რწმენა, ბრძენნო, ვისწავლე სამოციქულოსა და სახარების, წინასწარმეტყველთა და სჯულის, მამათა და მოძღვართა ქადაგებიდან.[39]

### მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებიდან

ჩვენი წმიდა და მსოფლიო კრება... ყოველივეში კეთილმსახურებით შეუერთდა ხუთი წმიდა და მსოფლიო კრების ხმას, კერძოდ... მეხუთე წმიდა კრებას, რომელიც აქ შეიკრიბა თეოდორე მოფსუესტელის, ორიგენეს, დიდიმესა და ევაგრეს წინააღმდეგ.[40]

### მეხუთე-მეექვსე (ტრულის) კრების პირველი კანონი

აგრეთვე ას სამოცდახუთმა ღმერთშემოსილმა მამამ, რომლებიც შეიკრიბნენ ამ სამეფო ქალაქში ჩვენი კეთილმსახური მეფის, იუსტინიანეს დროს, შეაჩვენეს და მოიძაგეს თეოდორე მოფსუესტელი, ნესტორის მოძღვარი, ორიგენე, დიდიმოსი და ევაგრე, რომლებიც ჩმახავდნენ ელინურ ზღაპრობას... ჩვენ მათ დადგენილებას, როგორც სულის მიერ აღმოთქმულს, ვაღიარებთ და მომდევნო თაობებსაც ვასწავლით.[41]

### მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებიდან

მასთან ერთად ანათემას გადავცემთ ორიგენეს, ევაგრესა და დიდიმეს სიცრუეს, როგორც ეს გააკეთა მეხუთე კრებამ, რომელიც კონსტანტინოპოლში შედგა.[42]

### წმ. თეოფანე აღმსარებელი

ამ წელს იყო წმიდა და მსოფლიო მეხუთე კრება ამაოდმბრძნობი ორიგენეს, ბრმა დიდიმეს, ევაგრეს და მათი ელინისტური ყბედობის წინააღმდეგ, აგრეთვე უთავო თავების წინააღმდეგ.[43]

### კირილე სკვითოპოლელი

როდესაც მეხუთე წმიდა მსოფლიო კრება შედგა კონსტანტინოპოლში, ორიგენე და თეოდორე მოფსუესტელი გადაეცნენ საყოველთაო და მსოფლიო ანათემას. ასევე შეჩვენებულ იქნა ისიც, რაც ევაგრესა და დიდიმეს მიერ იყო თქმული (სულთა) წინასწარ არსებობისა და აპოკატასტასისის შესახებ.[44]

### წმ. თეოდორე სტუდიელი

შემდეგ მეხუთემ (მსოფლიო კრებამ), დაამტკიცა მისი წინა კრება და ანათემას გადასცა ორიგენე და მისი მიმდევარი პროიპარკტიტები.[45]

### წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებიდან

ისტვინიანე (იუსტინიანე) მეფისა ზე იქმნა მეხუთე კრებაჲ კოსტანტინეპოლეს ას სამეოცდაოთხთა წმიდათა მამათაჲ, რომელთა დაამტკიცეს ყოველივე პირველთა მათ ოთხთა კრებათაგან დაწესებული და სებეროს შეაჩუენეს და ოროგინე და მსგავსნი მისნი და მართალი სარწმუნოებაჲ ხმამაღლად ქადაგეს.[46]

### წმ. ფოტი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი

წმიდა და მსოფლიო მეხუთე კრებამ... ასევე ბრალეულად სცნო და ანათემას გადასცა ორიგენე, დიდიმე და ევაგრე... ისინი ცრუდ ასწავლიდნენ, რომ სულები სხეულებამდე არსებობდნენ და რომ ერთი სული მრავალ სხეულს იცვლის – ბილწი და საძაგელი სწავლებაა... და ქადაგებდნენ უსასრულო ტანჯვის დასრულებას, რაც არის მოწოდება ყოველგვარი ცოდვისა და დაღუპვისკენ, ოცნებობდნენ, რომ ბოროტ ეშმაკებს კვლავ მიენიჭებათ მათი პირველი ღირსება და ზეაღსვლა მაღალ დიდებაში, რომლისგანაც დაეცნენ.[47]

### წმ. მარკოზ ეფესელი

ამ სწავლებამ, აღდგენის („აპოკატასტასისის“) და მარადიული ტანჯვის დასრულების შესახებ, დასაწყისი მიიღო ორიგენესგან, როგორც ითქვა, და აცდუნა ზოგიერთი ეკლესიის მამა, რომელთა შორის არიან დიდიმე და ევაგრე; იგი მიუთითებს ღვთის კაცთმოყვარებაზე და ადვილად მისაღებია უზრუნველთათვის, როგორც ღმერთშემოსილი იოანე, „ზეციური კიბის“ ალმწერელი (კიბე 5,41) ამბობს. ეს სწავლება აკრძალულ იქნა და ანათემას გადაეცა წმიდა მეხუთე მსოფლიო კრების მიერ, როგორც სულთა მომაუძლურებელი და უზრუნველთა უფრო დიდ უზრუნველობაში ჩამგდები, რადგან ისინი მოელიან, რომ ოდესლაც დადგება ტანჯვისგან განთავისუფლება და დაპირებული აღდგენა („აპოკატასტასისი“).[48]

## ბ) შეიწყნარა თუ არა ეკლესიამ „აპოკატასტასისის“ „თავშეკავებული ვარიანტი“?

„მოწყალენი“, ძირითადად, ვერ უარყოფენ ეკლესიის მიერ ორიგენეს ცრუმოძღვრებების დაგმობას, მაგრამ თავისი მცდარი სწავლების გასამართლებლად ამტკიცებენ, თითქოს ეკლესიამ დაგმო ორიგენესეული „აპოკატასტასისი“, ხოლო წმ. გრიგოლ ნოსელისეული არ დაუგმია. სინამდვილეში როგორაა საქმე? თუკი დავუშვებთ,

რომ ის მცდარი აზრები, რომლებსაც წმ. გრიგოლ ნოსელს აკუთვნებენ, მართლაც მის მიერაა გამოთქმული, მაშინ სავარაუდოა, რომ ამის შესახებ საყოველთაოდ არ იყო ცნობილი და არც მეხუთე მსოფლიო კრების მამებს ჰქონდათ შესწავლილი ეს საკითხი. დღეს ცნობილი ტექსტებიდან პირველად ამ საკითხზე საუბარია წმ. ბარსანოფი დიდის მოწაფის კითხვებში და წმ. ბარსანოფისა და წმ. იოანე წინასწარმეტყველის პასუხებში, რომელთაც დაგმეს ამგვარი შეხედულება (ეს მამები მოღვაწეობდნენ მეექვსე საუკუნეში). მერვე საუკუნეში კონსტანტინოპოლის პატრიარქი, წმ. გერმანე წერდა, რომ „ბნელი და დამღუპველი შხამი ორიგენესეული სიცრუისა“ სხვების მიერ იქნა შერეული წმიდა გრიგოლის წიგნებში. წმ. პატრიარქი ფოტი და წმ. მარკოზ ეფესელიც გმობენ წმ. გრიგოლ ნოსელის ნაწერებში არსებულ აზრებს „აპოკატასტასისის“ შესახებ. 543 წლის კონსტანტინოპოლის კრების მეცხრე ანათემატიზმში დაგმობილია როგორც კონკრეტულად ორიგენესეული „აპოკატასტასისი“, ასევე ის „თავშეკავებული“ „აპოკატასტასისი“, რომელიც წმ. გრიგოლის ნაწერებში გვხვდება, რომ: „დემონებისა და უსჯულო ადამიანების სასჯელი დროებითია და რამდენიმე ხნის შემდეგ მას დასასრული ექნება“. ასე რომ, ეკლესიის პოზიცია ამ საკითხზე აშკარაა, რასაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, წმიდა მამათა მთელი ერთობა ადასტურებს. აღსანიშნავია ისიც, რომ „აპოკატასტასისის“ ყველაზე მნიშვნელოვანი ცდომილი აზრი (რაც აშკარად ჩანს მამათა შეფასებებიდან) – გეენის მარადიული ტანჯვის დასრულების შესახებ – საერთოა როგორც ორიგენესეული, ასევე „თავშეკავებული“ „აპოკატასტასისთვის“, ამიტომ ამაოდ ირჯებიან „მოწყალენი“, როდესაც ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ეკლესიამ ერთი მათგანი დაგმო, მეორე კი დაუშვა. კონკრეტულად წმ. გრიგოლ ნოსელის ნაწერებში არსებულ ცდომილებებზე შემდეგი მამები საუბრობენ:

### წმ. ბარსანოფი დიდი

კითხვა: აღდგენის („აპოკატასტასისის“) შესახებ ცხადად საუბრობს იგივე წმიდა გრიგოლ ნოსელი, მაგრამ არა იმის შესახებ, რომელსაც ისინი გულისხმობენ, რომ თითქოს ტანჯვის დასრულების შემდეგ ადამიანი აღდგება თავის პირვანდელ მდგომარეობაში, ანუ წმინდა გონება გახდება; არამედ საუბრობს, რომ ტანჯვა შენელდება და დასრულდება. მითხარი, ჩემო მამაო, ასეთი ადამიანი რატომ არ საუბრობს სამართლიანად, როგორც შეეფერებოდა წმიდა კაცს, სული წმიდის შთაგონებით მოსაუბრეს.

პასუხი: ... არ გეგონოთ, რომ ადამიანებს, თუნდაც წმინდანებს, შეუძლიათ სრულად ჩასწვდნენ ღვთის ყველა სიღრმეს... წმინდანები მოძღვრები გახდნენ ან თავისით, ან სხვა ადამიანების იძულებით, მეტად წარემატნენ, აღემატნენ თავის მოძღვრებს და ზეგარდამო განმტკიცების შემდეგ გადმოსცეს ახალი მოძღვრება, მაგრამ ამასთან ერთად დაიტოვეს ისიც, რაც თავიანთი ძველი მასწავლებლებისგან მიიღეს, ანუ არასწორი სწავლება. შემდეგ, როცა წარემატნენ და სულიერი მოძღვრები გახდნენ, არ მიმართეს ღმერთს ლოცვით, რომ გამოეცხადებინა მათთვის მათი პირველი მასწავლებლების შესახებ, სული წმიდის მიერ იყო თუ არა შთაგონებული ის, რაც მათ გადმოსცეს, არამედ ჩათვალეს ის მოძღვრები ბრძენებად და გულისხმისმყოფელებად,

არ გამოიკვლიეს მათი სიტყვები. ... ამგვარად, სწავლებები ერთმანეთს შეერია და ყველაფერი, რასაც ეს წმიდა კაცები ამბობდნენ, მათ სახელს მიეწერებოდა... [49]

### წმ. პატრიარქი გერმანე კონსტანტინოპოლელი

მათ, ვისაც მოსწონდა ის უაზრობა, რომ თითქოსდა დემონებისთვის და ადამიანებისთვის, რომლებიც მარადიულ ტანჯვას ექვემდებარებიან, ოდესღაც გამოხსნას უნდა ველოდოთ... ხელი მიჰყვეს მის (წმ. გრიგოლ ნოსელის) წმიდა და ჯანსაღ ნაწერებს და შეურიეს ბნელი და დამღუპველი შხამი ორიგენესეული სიცრუისა.[50]

### წმ. ფოტი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი

ის, რაც წმიდა გრიგოლთან, ნისის ეპისკოპოსთან, ნათქვამია აპოკატასტასისზე, ეკლესიის მიერ არაა შეწყნარებული.[51]

### წმ. მარკოზ ეფესელი

მეხუთე მსოფლიო კრებაზე ასეთი აზრი (ტანჯვის სასრულობის შესახებ) აღიარებულ იქნა ყველა სწავლებაზე უფრო არაადამიანურად და, როგორც ეკლესიის დამაზიანებელი და გულმოდგინეთა დამასუსტებელი, ანათემას გადაეცა. ამგვარად, ეს გამონათქვამები, თუკი მართლაც საკვირველი გრიგორის (ნოსელის) მიერაა თქმული იმ ცეცხლის შესახებ, ისინი უთითებენ არა განსაკუთრებულ განსაწმენდელზე, არამედ შემოაქვთ საბოლოო განწმენდა და საბოლოო აღდგენა ყოველთა; მაგრამ ისინი არანაირად არ არის დამაჯერებელი ჩვენთვის, ვინც ეკლესიის საერთო განსჯას შევყურებთ და წმიდა წერილით ვხელმძღვანელობთ, და არ ვუყურებთ იმას, თუ რას წერდა თითოეული მოძღვართაგანი, როდესაც თავის პირად აზრს გამოხატავდა.[52]

## გ) წმიდა წერილი მარადიული ნეტარებისა და მარადიული ტანჯვის შესახებ

„მოწყალეთა“ მიერ საკუთარი ცდომილების გავრცელების ერთ-ერთი საშუალებაა წმიდა წერილის ტენდენციური განმარტება. განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით მოსაზრებას, რომ წმიდა წერილში, სადაც ნათქვამია: „წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა“ (მათ. 25,46); „შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა“ (მათ. 18,8); „იტანჯებიან დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 20,10); „საშჯელი მოეხადოს, მომსრველი საუკუნოჲ“ (2 თესალ. 1,9); „და მრავალნი დაძინებულნი ქუეყანასა შინა მიწასა აღდგენ, რომელნი ცხონებად საუკუნოდ, და რომელნი ყუედრებად და სირცხვილად საუკუნოდ“ (დან. 12,2) – თითქოსდა სიტყვა საუკუნო არ ნიშნავს მარადიულს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს სიტყვა დაერთვის როგორც ცოდვილთა ტანჯვას, ასევე მართალთა ნეტარებას, ამიტომ ცხადია, თუ მართალთა ნეტარება დაუსრულებელი იქნება, რასაც

არავინ უარყოფს, ე. ი. ცოდვილთა ტანჯვაც მარადიული იქნება. და მეორეც, წმიდა წერილში სხვა არაერთი ადგილია, რომლებიც ტანჯვის დაუსრულებლობას პირდაპირ ან არაპირდაპირ ამტკიცებენ: „და დაიწუნენ უშჯულონი და ცოდვილნი ერთბამად, და არა იყოს დამშრეტელ“ (ეს. 1,31); „მატლი მათი არა დაესრულოს, და ცეცხლი მათი არა დაშრტეს“ (ეს. 66,24; მარკ. 9,46); „ბზე დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა“ (მათ. 3,12); „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“ (მათ. 7,21); „ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა. და რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა კაცისათვის, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათვის, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“ (მათ. 12,31-32); „უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი (მათ. 26,24); „და ჰრქუა ვინმე მას: უფალო, უკუეთუ მცირედ არიან ცხორებულნი? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: იღუაწეთ შესლვად იწროჲსა მისგან კარისა. ხოლო გეტყვი თქუენ: მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძლონ“ (ლუკ. 13,24); „რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა“ (იოან. 3,36); „ნუ სცთებით: არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა, არცა ანგაჰრთა, არცა მპარავთა, არცა მომთრვალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა, სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9-10); „და ესემცა უწყით, რამეთუ ყოველსა მეძავსა და არაწმიდასა და ანგაჰრსა, რომელ არს კერპთმსახური, არა აქუს მკვიდრობა სასუფეველსა ქრისტესსა და ღმრთისასა“ (ეფეს. 5,5).

### წმ. მღვდელმოწამე ირინეოს ლიონელი

ვისაც ეტყვის უფალი: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, ისინი სამუდამოდ იქნებიან მსჯავრდებულნი.[53]

### წმ. ბასილი დიდი

უფალი ხან გადაჭრით ამბობს, რომ „წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა“ (მათ.25,46), ხან სხვებს გზავნის „ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის“ (25,41), ხოლო სხვა ადგილას უწოდებს „გეჰენიასა ცეცხლისასა“, და დაურთავს: „სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების“ (მარკ. 9,47-48); და ჯერ კიდევ ძველად ზოგიერთების შესახებ წინასწარ თქვა წინასწარმეტყველის მიერ, რომ „მატლი მათი არა დაესრულოს, და ცეცხლი მათი არა დაშრტეს“ (ეს. 66,24). ამიტომ, თუკი იმის მიუხედავად, რომ ღვთივშთაგონებული წერილის სხვადასხვა ადგილას ამდენი მოწმობაა, მრავალი, თითქოს ივიწყებს უფლის ყველა ამგვარ გამონათქვამს, თავს ტანჯვის დასრულებას ჰპირდება, რათა უფრო თავისუფლად გაბედოს ცოდვა, – მაშინ ეს, რაღა თქმა უნდა, ეშმაკის ერთ-ერთი ხრიკია. რადგან, თუკი საუკუნო ტანჯვას ოდესმე დასასრული ექნება, მაშინ უეჭველია, საუკუნო ცხოვრებასაც ექნება დასასრული. და თუკი ვერ

ბედავ ამის ფიქრს (საუკუნო) ცხოვრებაზე, მაშ რის საფუძველზე დაუდებ სასრულს საუკუნო სატანჯველს? ტანჯვასაც და ცხოვრებასაც ერთნაირად დაერთვის ერთი სიტყვა – საუკუნო. ნათქვამია: წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა (მათ. 25,46). და ამაზე შეთანხმებულებმა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ნათქვამი: „იტანჯოს იგი ფრიად“ და „იგუემოს მცირედ“ (ლუკ. 12, 47-48), აღნიშნავს არა ტანჯვის დასრულებას, არამედ ტანჯვის სხვადასხვაობას.[54]

### წმ. იოანე ოქროპირი

იმის შესახებ, რომ იქ ნამდვილად არ იქნება სასჯელისგან განთავისუფლება, მოუსმინე, რას ამბობს თვითონ ქრისტე: „მატლი მათი არა მოაკლდების, და ცეცხლი არა დაშრტების“ (მარკ. 9,44). და კიდევ: „წარვიდენ ერთნი ცხორებასა საუკუნესა, ხოლო სხვანი – სატანჯველსა საუკუნესა“ (შდრ. მათ. 25,46). ამრიგად, თუკი იქნება ცხოვრება მარადიული, მაშ, სასჯელიც მარადიულია.[55]

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ: „რომლისა ნიჩაბი ხელთა მისთა, განწმიდოს კალოჲ თვისი და შეიკრიბოს იფქლი მისი საუნჯესა, ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა უშრეტითა“ (მათ. 3,12).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ზემო სატანჯველი ოდენ ახსენა, ხოლო აქა მსაჯულსაცა გვიჩუენებს და ტანჯვისა მის დაუსრულებელობასა წარმოიტყვის: „ბზე დაწუასო ცეცხლითა უშრეტითა“.[56]

ამრიგად, ქრისტემ გამოგვიცხადა, რომ გეენის ცეცხლს არა აქვს დასასრული; და პავლეც ამტკიცებს, რომ ტანჯვა დაუსრულებელი იქნება, როდესაც ამბობს: ცოდვილებს „საშჯელი მოეხადოს, მომსრველი საუკუნოჲ“ (2 თესალ. 1,9); და კიდევ: „ნუ სცთებით: არცა მეძავთა... არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9-10). და ებრაელთა მიმართაც ამბობს: „მშვიდობასა შეუდეგით ყოველთა თანა და სიწმიდესა, რომლისა თვინიერ ვერვინ იხილოს უფალი“ (ებრ. 12,14). ასევე ქრისტე სიტყვებზე: „სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით“, უპასუხებს: „არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (მათ. 7,22-23). და ქალწულებს, რომელთათვისაც კარი დაეხშა, უკვე აღარ შეეძლოთ (სასუფეველში) შესვლა (მათ. 25,1-12); და მათ შესახებ, ვინც მას (უფალს) არ მისცეს საჭმელი, ის ამბობს: „წარვიდეს სატანჯველსა საუკუნესა“ (მათ. 25,46).[57]

### წმ. კირილე ალექსანდრიელი

„რამეთუ ცეცხლი ეტყინების. ვინ მოგითხროს თქუენ ადგილი საუკუნოჲ?“ (ეს. 33,14). ამ სიტყვებით (წინასწარმეტყველი) გვიჩვენებს, რომ ქრისტეს მოწინააღმდეგეებს სასტიკი და გარდაუვალი სასჯელი მოელით, სამსჯავროს ჟამს ცეცხლს მიეცემიან. თვითონ უფალმაც თქვა ერთგან: „რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა“ (იოან. 3,36). და ულმობლებსა და დაუმორჩილებლებს

მიუთხრობს საუკუნო ადგილს; მათთვის გამზადებულია ცეცხლი და ეტყინების, და ეს სამარადისოა, როგორც თვითონ წინასწარმეტყველი სხვა ადგილას ამბობს ცოდვებში აღსრულებულებზე: „მატლი მათი არა დაესრულოს, და ცეცხლი მათი არა დაშრტეს, და იყვნენ სახილველ ყოვლისა ხორცისა“ (ეს. 66,24).[58]

### წმ. იოანე დამასკელი

საუკუნედ ითქუმის ყოველი ესე აწინდელი ცხორებაჲ. და საუკუნედ – შემდგომად აღდგომისა ყოფადი იგი დაუსრულებელი.

... ხოლო საუკუნე ცხორებაჲ და საუკუნე ტანჯვაჲ დაუსრულებლობასა ცხად-ჰყოფს ყოფადისასა, რამეთუ არცა შემდგომად აღდგომისა დღითა და ღამითა აღირაცხის ჟამი, არამედ იყოს უფროჲსღა ერთი დღე დაუმწუხრებელი, ოდეს-იგი მზე სიმართლისაჲ მართალთა ზედა ჰაეროვნებით ბრწყინვიდეს, ხოლო ცოდვილთათვის ღამე იყოს უნათლო, დაუსრულებელი. აწ უკუე ვითარ ორიგენიანისა კუალად-გებისა ათასთა წელიწადთაჲ იგი აღირაცხოს ჟამი?“[59]

### წმ. ათანასე დიდი

„სიკუდული ცოდვილთაჲ ბოროტ არს“ (ფსალმ. 33,22) – გულისხმობს სულიერ სიკვდილს, რომელსაც მოჰყვება საუკუნო ცეცხლი, ბნელი გარესკნელი, მატლი დაუძინებელი, ტირილი და ღრჭენა კბილთა, რამეთუ ცოდვილებს ელოდებათ გეენა და სიბნელე.[60]

### წმ. ეფრემ ასური

მაშინ,როგორცთქვაუფალმა,„განარჩინესიგინიურთიერთას,ვითარცა-იგიმწყემსმან რაჲ განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან, და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისა“ (მათ. 25,32-33). – ის ცხოვარნი, რომლებსაც აქვთ კეთილი ნაყოფი, რომლებმაც იციან მწყემსი, რომლებიც არიან აღბეჭდილნი (ნათლისღებით), რომლებმაც დაიცვეს ბეჭედი დაუზიანებლად, რომლებიც გაყვნენ დიდ მწყემსს, რომელმაც თქვა: „მომდევდით მე“, ცხოვარნი, რომლებმაც არ შებილწეს წმიდა სარწმუნოება მწვალებლური გმობებით; ამ ცხვრებს დაადგენს „მარჯვენით მისსა“. ... მაშინ ეტყვის მარცხნივ მდგომებს: „წადით ჩემგან ყოველნო წყეულნო ცეცხლსა გარესკნელსა. წადით ჩემგან, მოძულეებო, უმოწყალონო, ძმათმოძულენო, ქრისტესმოძულენო. თქვენ არ იწყალებდით, და არ იქნებით შეწყალებულნი; თქვენ არ უსმენდით ჩემს წმიდა სახარებებს და ჩემს ნეტარ მოწაფეებს, და მე არ შევისმენ თქვენს ტირილს. თქვენ ქვეყნად ფუფუნებაში იყავით, ცხოვრებაში კეთილდღეობით ტკბებოდით. იქ ყოველდღიურად მოგიწოდებდით წმიდა წერილით, თქვენ კი გესმოდათ და დასცინოდით მკითხველებს. და აწ ვამბობ: „არა გიცნი თქუენ“. წადით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა გარესკნელსა და სამარადისოსა, რომელიც განმზადებულია ეშმაკისთვის და მისი ანგელოზებისთვის“. მაშინ წავლენ ისინი მარადიულ სატანჯველში, ხოლო მართალნი – მარადიულ ცხოვრებაში.[61]

გსმენია, რომ „ორნი იყვნენ ველსა გარე: ერთი წარიყვანოს, და ერთი დაეტეოს. ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს, და ერთი დაეტეოს“ (მათ. 24,40-41)... როგორ წარიტაცებიან მართალნი, დაე პავლემ თქვას: ქრისტეს მიერ მცხოვრებნი აღიტაცებიან ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰაერთა ზედა და მარადის უფლისა თანა იყოფოდნენ (იხ. 1 თესალ. 5, 16-17). როგორ დაიტევებიან ცოდვილნი? ანგელოზნი შეკრებენ რჩეულებს ოთხთაგან ქართა (იხ. მათ. 24,31), ხოლო უკეთურებს დაწვავენ ცეცხლითა მით უშრეტითა (იხ. მათ. 3,12).[62]

## ნეტარი ავგუსტინე

ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ სიტყვები: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა“ (მათ. 25,41), და კვლავ: „წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა“ (მათ. 25,46), და ისევ: „და იტანჯებოდიან დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 20,10), და შემდეგ: „მატლი მათი არა დაესრულოს, და ცეცხლი მათი არა დაშრტეს“ (ეს. 66,24), და სხვა მსგავსი ნათქვამია უფრო მუქარისთვის, ვიდრე ნამდვილი სასჯელისთვის – ისინი სრულ და გადამწყვეტ წინააღმდეგობაში არიან არა იმდენად ჩემს მიმართ, რამდენადაც თვით საღმრთო წერილის მიმართ. სინამდვილეში ნინეველებმა აწმყო ცხოვრებაში მოინანიეს (იონა 3,7) და ამიტომაც იყო სინანული ნაყოფიერი, იმ მინდვრად მთესველთა მსგავსად, რომლებიც ღვთის ნებით ცრემლით თესავენ და სიხარულით იმკიან (ფსალმ. 125,6). მიუხედავად ამისა, ვინ დაიწყებს მათზე უფლის წინასწარმეტყველების აღსრულების უარყოფას, გარდა იმ ადამიანისა, ვისაც ნაკლებად ესმის, როგორ მუსრავს ღმერთი ცოდვილებს არა მხოლოდ მრისხანებით, არამედ წყალობითაც. ცოდვილები ორი სახით შეიმუსრებიან – ან როგორც სოდომელები, როცა ცოდვების გამო თვითონ ადამიანები ისჯებიან, ან როგორც ნინეველები, როცა სინანულის საშუალებით მხოლოდ ადამიანთა ცოდვები შეიმუსრება. აქედან გამომდინარე, ღვთის წინასწარმეტყველება აღსრულდა: ბოროტი ნინევია შემუსვრილია, და გამოჩნდა კეთილი ნინევია, რომელიც არ არსებობდა. რამეთუ მართალია კედლები და სახლები დაუზიანებელი დარჩა, მაგრამ ქალაქი თავის ბიწიერ ზნე-ჩვეულებებში შეიმუსრა. ამგვარად, თუმცა კი წინასწარმეტყველი დამწუხრებული იყო, რომ ნინეველთა შემაშინებელი წინასწარმეტყველება არ აღსრულდა (იონა 4,1-4), მაგრამ ის, რაც წინასწარმხედველმა ღმერთმა იწინასწარმეტყველა, აღსრულდა, რამეთუ მან, ვინც იწინასწარმეტყველა, იცოდა, უკეთესად როგორ უნდა აღსრულებულიყო ნაწინასწარმეტყველები.[63]

## წმ. გრიგოლ ნოსელი

სადაა ძვირფასი ჭურჭელი? სადაა კლიტეებით დაკრძალული განძის უსაფრთხოება? სად არიან ღამის დარაჯებად მიჩენილი ძაღლები და ბოროტგანმზრახველთა საწინააღმდეგო იარაღის მარაგი? სადაა წიგნებში ჩაწერილი ნიშნები? რას წარმოადგენენ ისინი ტირილთან და კბილთა ღრჭენასთან შედარებით? ვინ გაანათებს ბნელს? ვინ ჩააქრობს ცეცხლს? ვინ გარემიაქცევს მატლს, რომელიც არ კვდება?[64]

ნეტარი იერონიმე

„და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი ცხორებასა საუკუნესა“ (მათ. 25,46) – კეთილგონიერო მკითხველო, ყურადღება მიაქციე იმას, რომ სასჯელიც სამუდამოა და მარადიულ ცხოვრებასაც არანაირი დასასრული არ ექნება.[65]

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

ხოლო „საკრველები სამარადისოჲ“ (იუდა 1,6) არის მათი (საუბარია ბოროტ ანგელოზებზე) სრული და მუდმივი, ნებაყოფლობითი შეუძვრელობა სიკეთესთან მიმართებით, რის გამოც ისინი არანაირად და არასოდეს არ ტკბებიან საღვთო განსვენებით; ანდა – განგებულებით მოქმედი ძალა ღვთისა, რომელიც ჩვენი ცხონებისათვის აკავებს მათ მძვინვარებას ჩვენს წინააღმდეგ და არ უშვებს, რომ მათმა სიბოროტემ მახეები დაგვიგოს.

„წყვდიადი“ კი არის ღვთის მადლის სრული უმეცრება, და საკუთარი ნებით ამ წყვდიადით მთლიანად რომ განიმსჭვალნენ, დაკარგეს წმიდა ნათლის ნეტარი და ყოვლადნათელი მოცემა, რამეთუ მათთვის ბუნებითად მინიჭებული გონებრივი ძალა არარსებულზე გაფლანგეს. ხოლო რა ელით მათ საშინელი სამსჯავროს დღეს, იცის მხოლოდ „მართალმან მსაჯულმან“ (2 ტიმ. 4,8), რომელიც თითოეულისთვის სამართლიან მისაგებელს აწესებს, ბოროტების შესაბამის სასჯელის სახეს განაჩინებს და თავისი სახიერი ბრძანებებით სამართლიანად გამოაქვს შესაფერისი დაუსრულებელი მსჯავრი.[66]

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი

„და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა“ (მათ. 3,12). ჩაუქრობელია გეენის ცეცხლი. ამიტომაც ცდებოდა ორიგენე, როცა ამბობდა, რომ ტანჯვას დასასრული ექნებაო.[67]

ცხონებას ვერანაირი სიმდიდრით ვერ იყიდი. ასე რომ არ იყოს, ის, ვინც მთელ ქვეყანას შეიძენდა, ყველაფერს მისცემდა მაშინ, როდესაც გეენის ცეცხლში დაიწვებოდა და ასე გამოისყიდიდა თავს. მაგრამ იქ ასეთი გამოსყიდვა შეუძლებელია. აქ (მარკ. 8,36) იმათი ბაგეებიც დუმდება, ვინც ორიგენეს კვალდაკვალ ამბობს, რომ სულთა მდგომარეობა უკეთესობისკენ მას შემდეგ შეიცვლება, როცა ისინი მათი ცოდვების შესაბამისად დაისჯებიან. დაე ისმინონ მათ, რომ იქ არანაირად არ შეიძლება სულის გამოსასყიდის გადახდა და ტანჯვა მხოლოდ იმ ზომით, რაც საჭიროა თითქოსდა ცოდვების დასაკმაყოფილებლად.[68]

„რომელთა-იგი საშჯელი მოეხადოს, მომსრველი საუკუნოჲ“ (1 თესალ. 2,9). ამგვარად, სად არიან ორიგენისტები, ტანჯვის დასრულების შესახებ რომ ზღაპარსიტყვაობენ? ტანჯვა პავლემ მარადიულად მოიხსენია. რანაირად შეიძლება თქვენთვის მარადიული დროებითი იყოს?[69]

### წმ. გრიგოლ პალამა

მას (მდიდარს) ეუბნება აბრაამი: ვინაიდან შენ სიტკბოებით, თავაშვებულად და გაფანტულად ცხოვრება არჩიე თავშეკავებას, ამიტომ სამართლიანად გეწია მწუხარება, ჭირი და სივიწროვე; ხოლო რადგანაც არც გაჭირვებულებთან გქონია რამენაირი თანაზიარება მოწყალების საშუალებით, და არ შეგიძენია მეგობრები „მამონაჲსა მისგან სიცრუვისა“ (ლუკ. 16,9), და არ მიეცი შენი ნამეტნავი მათი ნაკლულევანების შესავსებად (2 კორ. 8,14), არამედ სრულიად უზიარებელი იყავი წმინდანებთან, განეშორებოდი მათგან, როგორც ბოროტება განეშორება სათნოებას, ამიტომ ახლა შორის ჩვენსა, ვინც სათნოებით ვიცხოვრეთ, და თქვენსა, ვინც ცხოვრება ბოროტებაში გაატარეთ, დიდი და გადაულახავი უფსკრულია დამტკიცებული, ისე, რომ ვერასოდეს შეძლებენ ერთნი მეორეებთან გადასვლას. ამით კი მტკიცდება დაუსრულებლობა და უცვალებლობა როგორც ცოდვილთა ტანჯვისა, ასევე მართალთა ნეტარებისა.[70]

### წმ. თეოფანე დაყუდებული

ხომ გვაქვს ჩვენ ნამდვილი ახალაღთქმისეული წიგნები. იქ წერია: „წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა“ (მათ. 25,46). შემდეგ, რამდენი თარგმანიც კი არსებობს ახალი აღთქმისა, ყველგან წერია: „წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა“. და არც ერთი თარგმანის არც ერთ მთარგმნელს აზრად არ მოსვლია, რომ რაღაც სხვანაირად ეთარგმნა ეს საშინელი სიტყვები: „სატანჯველსა საუკუნესა“. ამიტომაც უეჭველია, რომ უფალმა სწორედ ასე თქვა. განსამარტავი აქ არაფერია – სიტყვები განმარტების გარეშეც ცხადია. ურწმუნოები, და არა მორწმუნეები ცდილობდნენ სიტყვა „საუკუნე“ სხვაგვარად განემარტათ, თითქოს „საუკუნე“ აქ შეფარდებით მარადიულობას ნიშნავს: დიდხანს-დიდხანს, მაგრამ არა დაუსრულებლად, – ისე დიდხანს, რომ ეს ხანგრძლივობა მარადიულობად მოგვეჩვენება, მაგრამ მაინც დასრულდება. ამ განმარტების სიმცდარეს ამხელს იქვე დაწერილი სხვა სიტყვა: „ცხოვრებასა საუკუნესა“ (მათ. 25,46). „ცხოვრებასა საუკუნესა“ – ცრუ განმმარტებლებსაც ესმით, როგორც დასასრულის არმქონე. ასევე უნდა გვესმოდეს საუკუნო სატანჯველიც. ორივე გამოთქმა ერთნაირ პირობებშია. რასაც ერთში გულისხმავყოფთ, ის მეორეში არ უნდა უარვყოთ. თუკი ცხოვრება დაუსრულებელია, ტანჯვაც დაუსრულებელია.[71]

## დ) არის თუ არა წინააღმდეგობა წმიდა წერილში?

პროფ. ა. ოსიპოვი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამტკიცებს, რომ წმიდა წერილიცა და წმიდა მამებიც ხან ტანჯვის მარადიულობას ამტკიცებენ, ხან მის სასრულობას, საჭიროების მიხედვით. მსგავსი აზრი ეკლესიაში წმიდა მამათაგან არავის გამოუთქვამს, თუმცა მწვალებლებთან კი მოეძებნება პარალელები. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მის მიერ შედგენილ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოში („წინამძღვარი“) წერს: „თქუა წმიდამან ბასილი, ვითარმედ: „იტყვიან მბრძოლნი იგი

ჩუენნი, რომელნი დღითი-დღე სცვალებენ სიტყუათა სარწმუნოებისათა, თუ ვითარცა მკურნალნი ხელოვანნი ვიხმარებთ სიტყუათა სარწმუნოებისათა და სხუებრ და სხუებრ, ვითარცა სახმარ იყოს, ჟამითი-ჟამად გამოჩინებულთა ვნებათათვის ვსცვალებთ... არქუთ უკუე მეტყუელსა მას ესევითარისა უშჯულოებისასა, ვითარმედ: უკუეთუ ჯერ-არს დღეს სხუებრ აღწერაჲ სარწმუნოებისაჲ და ხუალე სხუებრ და ცვალებასა თანა ჟამთასა ცვალებაჲ ქადაგებისაჲ, ამაო სამე არს ბრძანებაჲ იგი მოციქულისაჲ, რომელ იტყვის, ვითარმედ: ერთ არს უფალი და ერთ – სარწმუნოებაჲ და ერთ – ნათლისღებაჲ (ეფეს. 4,5). ხოლო ვინაჲთგან მისი სიტყუაჲ ჭეშმარიტ არს, თქუენ სადამე, რასა-ეგე იტყვით, ეშმაკისა მაგიერ იტყვით“. ესე ყოველი წინაწარმეტყუელებით თქუა წმიდამან ბასილი უწინარეს მრავლისა ჟამისა, რაჲთა არცხვინოს და პირი დაუყოს უშჯულოსა სებეროსს. ... საცნაურ არს უკუე, ვითარმედ არა სცვალებდეს მამანი ჟამთაებრ სარწმუნოებასა, არამედ მარადის ერთსა სარწმუნოებასა ქადაგებდეს სწავლისაებრ წმიდათა მოციქულთაჲსა, რამეთუ ესმა მათ ბრძანებაჲ ღმრთისაჲ, რომელსა იტყვის წინაწარმეტყუელისა მიერ: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ და არა ვიცვალები“ (მალაქია 3,6)“[72]

მაშ, რას ამბობენ წმიდა მამები „მოწყალეთა“ „არგუმენტებზე“, რატომ არ აცხოვნებს ღმერთი ყველას, როცა „მოწყალეთა“ მიერ თავისი ცდომილების დასამტკიცებლად მოხმობილ წმიდა წერილის ციტატებში ვკითხულობთ: „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოან. 1,9); „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ (იოან. 1,29); „არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“ (იოან. 3,17); „იგი არს მომტევებელი ... ყოვლისა სოფლისაჲ“ (1 იოან. 2,2); „რაჲთა ყოველნი შეიწყალნეს“ (რომ. 11,32); „და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“ (1 კორ. 15,22)?

### წმ. იოანე ოქროპირი

თუკი ის (ქრისტე) „განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოან. 1,9), რატომაა ამდენი განუნათლებელი ადამიანი? ცხადია იმიტომ, რომ ყველას არ შეუცვნია ქრისტეს სარწმუნოება. მაშ როგორღა „განანათლებს ყოველსა კაცსა“? – თითოეულის მიმღებლობის მიხედვით. თუკი ზოგიერთები საკუთარი ნებით ხუჭავენ გონების თვალებს და არ სურთ ამ ნათლის სხივების მიღება, მაშასადამე, მათი სიბნელე სინათლის ბუნებისგან კი არ მომდინარეობს, არამედ ამ ადამიანთა უკეთურებისგან, რომლებიც საკუთარი ნებით რჩებიან ნიჭის გარეშე. ...მაშინ, როდესაც კარი ყველასთვის ღიაა და არავინაა დამაბრკოლებელი, ზოგიერთი საკუთარი ნებით ისასტიკებს გულს და გარეთ რჩება, ასეთები მხოლოდ საკუთარი მანკიერების გამო იღუპებიან.[73]

ღმერთს, როგორც ვთქვი, არასოდეს არავინ მიჰყავს თავისკენ ძალდატანებით და იძულებით; არა, მას ყველას ცხონება სურს, მაგრამ არავის აიძულებს, როგორც პავლეც

ამბობს: „ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“ (1 ტიმ. 2,4). მაშ, რატომ ვერ ცხონდება ყველა, თუკი ღმერთს ყველას ცხონება სურს? – იმიტომ, რომ ყველას ნება არ ეთანხმება მის ნებას, ხოლო ის არავის აიძულებს. ასე ეუბნება იერუსალიმსაც: „იერუსალემ, იერუსალემ! ...რაოდენგზის მინდა შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ... და არა ინებეთ! აჰა ესერა დაუტევნეთ თქუენ სახლნი თქუენნი ოხრად“ (ლუკ. 13,34,35). ხედავ, რომ როცა ღმერთს უნდა და ჩვენ არ მივყვებით, ვიღუპებით?[74]

## წმ. ამბროსი მედიოლანელი

ის, როგორც საიდუმლო მზე სიმართლისა, ამოვიდა ყველასთვის, ყოველთათვის მოვიდა, ყველასთვის ევნო, ყოველთათვის აღდგა... თუკი ვინმეს არ სწამს ქრისტე, ის თვითონ აკლებს საკუთარ თავს საყოველთაო წყალობას.[75]

## ნეტარი ავგუსტინე

„არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“ (იოან. 3,17). ამგვარად, რაც მკურნალს შეეხება – ის მოვიდა სნეულის განსაკურნებლად; და საკუთარ თავს თვითონვე იღუპავს ის, ვისაც არ სურს მკურნალის ბრძანებების შესრულება. მოვიდა ქვეყნად მაცხოვარი: იმიტომ ეწოდება მაცხოვარი, რომ მისი მიზანია ქვეყნის ცხონება და არა დასჯა. არ გსურს მისგან კურნების მიღება? თავად იქნები საკუთარი თავის მსაჯული.[76]

... ზუსტად ასევე მოციქულის სიტყვებიც: „შეაყენნა ღმერთმან ყოველნივე ურჩებასა, რაჲთა ყოველნი შეიწყალნეს“ (რომ. 11,32), ნათქვამია არა იმ აზრით, რომ თითქოსდა იგი არავის დასჯის, არამედ იმ აზრით, რომელიც გამომდინარეობს მოციქულის წინა სიტყვებიდან. რამეთუ როდესაც იუდეველებზე თქვა, რომ მომავალში ირწმუნებენ, შემდეგ მოციქული მიმართავს სიტყვით უკვე მორწმუნე წარმართებს, რომელთაც სწერდა ეპისტოლეებს: „რამეთუ ვითარცა-იგი თქუენცა ოდესმე ურჩ ექმნენით ღმერთსა, ხოლო აწ შეიწყალენით მათითა მით ურჩებითა, ეგრეთვე ესენი ურჩ ექმნნეს აწ თქუენისა შეწყალებისათვის, რაჲთა იგინიცა შეიწყალნენ“ (რომ. 11, 30-31). ამის შემდეგ დაურთავს სიტყვებს, რომლებსაც ისინი ცრუდ განმარტავენ თავის სასარგებლოდ, და ამბობს (მოციქული): „შეაყენნა ღმერთმან ყოველნივე ურჩებასა, რაჲთა ყოველნი შეიწყალნეს“. ვინ „ყოველნი“, თუ არა ისინი, ვისზედაც მანამდე საუბრობდა მოციქული, და თითქოსდა ახლა ასე ამბობს: „თქვენც და ისინიც“. ამგვარად, წარმართებიცა და იუდეველებიც, „რომელნი-იგი წინაჲსწარ იცნნა, წინაჲსწარცა განაჩინნა თანამსგავსად ხატისა მის ძისა თვისისა“ (რომ. 8,29); ყველანი „შეაყენა ურჩებასა“, რათა სინანულის საშუალებით ეგრძნოთ თავისი ურჩობის სიმწარე და რწმენის საშუალებით ღვთის მოწყალების სიწმინდისკენ მიბრუნებულებს ფსალმუნის სიტყვებით ეღაღადათ: „ვითარ მრავალ არს წყალობაჲ სიტკბოებისა შენისაჲ, უფალო, რომელ დაუმარხე მოშიშთა შენთა! ჰყავ შენ იგი მოსავთა შენთათვის“ (ფსალმ. 30,19). ამგვარად, ღმერთი მოწყალეა ყველა „ჭურთა მათ ზედა წყალობისათა“

(რომ. 9,23). მაგრამ სახელდობრ ვინ ყველას მიმართ? იმათ მიმართ, რომლებიც მან წარმართთაგანაც და იუდეველთაგანაც „წინაჲსწარ განაჩინნა... უწოდა... განამართლნა... ადიდნა“ (რომ. 8,29); მხოლოდ ამ ყველასგან ის არ დასჯის არავის, და არა საერთოდ ყველა ადამიანთაგან.[77]

### წმ. ნილოს სინელი

„რაჲთა იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა“ (1 კორ. 15, 28), ნათელი – ნათლის ღირსთათვის, ხოლო მტანჯველი ცეცხლი – მარადიული ტანჯვის ღირსთათვის.[78]

### წმ. ანტონი დიდი

მან (უფალმა იესო ქრისტემ) „მისცა თავი თვისი ცოდვათა ჩუენთათვის“ (გალატ. 1,4)... და „წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით“ (ეს. 53,5)... დაე ეს სიტყვა ცხადი იყოს თქვენში, საყვარელნო: თუკი ვინმე არ განემზადება საკუთარი თავის გამოსასწორებლად და თავდაუზოგავად არ იშრომებს, დაე ასეთმა კაცმა იცოდეს, რომ მაცხოვრის მოსვლა მისთვის დასასჯელი იქნება. „რომელთამე სულად სიკუდილითი სიკუდულად, და რომელთამე სულად ცხორებითი ცხორებად“ (2 კორ. 2,16). რამეთუ ის „დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის და სასწაულად სიტყვის-საგებელად“ (ლუკ. 2,34). გევედრებით, საყვარელნო, იესო ქრისტეს სახელით: ნუ უგულებელყოფთ თქვენს ცხონებას, არამედ დაე ყოველმა თქვენგანმა დაიპოს გული თვისი, და არა სამოსელი თვისი (შდრ. იოილ. 2,13), იმის შიშით, რომ ეს სამონაზვნო სამოსი ამაოდ არ გვეცვას და საკუთარ თავს სასჯელი არ განვუმზადოთ.[79]

### წმ. კირილე იერუსალიმელი

ღვთის საქმეა გარდამოავლინოს მადლი, ხოლო შენი საქმეა მისი მიღება და დაცვა.[80]

### წმ. ეფრემ ასური

ის (ღმერთი) გვეტყვის ჩვენ: „თქვენთვის განვკაცდი, თქვენთვის ხილულად მიმოვიდოდი ქვეყანაზე, თქვენთვის ვიგვემე, თქვენთვის თავს ვიდევ ყვრიმლის-ცემა, თქვენთვის ჯვარს-ვეცვი ძელზე ამაღლებული, თქვენთვის, მიწისაგანთათვის, ძმრის სმა თავს-ვიდევ, რათა თქვენ წმინდანი, ზეციურნი გამეხადეთ. ჩემი სასუფეველი მოგეცით, ყველას ძმები გიწოდეთ, მამას მივუძღვანე (თქვენი თავი), სული წმიდა გარდამოგივლინეთ. რაღა შემეძლო გამეკეთებინა ამაზე მეტი და არ გავაკეთე თქვენს საცხოვნებლად?

არ მსურს ერთადერთი: ძალდატანება თავისუფალ ნებაზე, რომ ცხონება თქვენთვის აუცილებლობად არ იქცეს. თქვით, ცოდვილებო და ბუნებით მოკვდავნო, რა მოითმინეთ ჩემთვის, მეუფისთვის, თქვენთვის ვნებულისთვის?“ ამგვარად, განმზადებულია სასუფეველი და ცხოვრება, განსვენება და სიხარული, ასევე მარადიული ტანჯვა ბნელსა გარესკნელსა. წავიდეთ საითაც გვინდა, ყველაფერში

თავისუფლებაა მოცემული.[81]

## წმ. ანასტასი სინელი

კითხვა: როგორ გავიგოთ მოციქულის ნათქვამი: „რომლისა-იგი საქმე დაიწუეს, იზღვიოს; ხოლო იგი განერეს და ეგრეთ განერეს, ვითარცა ცეცხლისაგან“ (1 კორ. 3, 15)?

პასუხი: თუკი ვიტყვით, რომ სასჯელს დასასრული ექნება, ამით მთელ ახალსა და ძველ აღთქმას მცდარად ვაღიარებთ. ამას გარდა, ვაღიარებთ იმასაც, რომ ნეტარი პავლეც საკუთარ თავს ეწინააღმდეგება და ებრძვის. თუკი ის ამბობს, რომ სასჯელს დასასრული აქვს, მაშინ [სხვა ადგილას] რატომ აცხადებს: „ნუ სცდებით: არცა მეძავთა, ... არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, ... არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9-10)? უფალიც ამბობს, რომ ცოდვილნი წავლენ „სატანჯველსა საუკუნესა“ (მათ. 25,46). და თუკი საუკუნო ცეცხლს დასასრული აქვს, ცხადია, რომ საუკუნო ცხოვრებასაც ექნება დასასრული, რადგან ცნებას „საუკუნო“ ერთი მნიშვნელობა აქვს, როგორც მართალთათვის, ასევე ცოდვილთათვის, რადგან პირველნი [წარვიდენ] „ცხოვრებასა საუკუნესა“, ხოლო მეორენი – „სატანჯველსა საუკუნესა“.

ზუსტად ამგვარადვე ამბობს უფალი მათზე, ვისაც გეენა მიესაჯა: „სადა-იგი მატლი მათი არა მოაკლდების, და ცეცხლი არა დაშრტების“ (მარკ. 9,44). გარდა ამისა იგავები მდიდარსა და ლაზარეზე და ათ ქალწულზე (ლუკ. 16,9-31; მათ. 25,1-12) აცხადებენ დაუსრულებელ სასჯელს. ასევე ეს სიტყვები იუდას შესახებ: „უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი“ (მათ. 26,24) – მიანიშნებს მარადიულ სასჯელზე, რადგან თუკი რაღაც დროის განმავლობაში დაიტანჯება და შემდეგ სამარადისოდ ცათა სასუფეველში დამკვიდრდება, მაშინ მისთვის არ იქნებოდა უმჯობესი, რომ არ შობილიყო. და რას ამბობს წმიდა წერილი სიტყვებით: „რამეთუ არა არს, ვინ სიკუდილსა შინა მოგიხსენოს შენ; ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ?“ (ფსალმ. 6,6). იქ არაა ღვთის ხსოვნა და მისი აღიარება, და ამიტომაც, ცხადია, არც გამოხსნაა.

რაც შეეხება მოციქულის სიტყვებს: „რომლისა-იგი საქმე დაიწუეს, იზღვიოს; ხოლო იგი განერეს და ეგრეთ განერეს, ვითარცა ცეცხლისაგან“ (1 კორ. 3, 15), ისინი ამგვარად უნდა გავიგოთ: ცოდვა იქ დაიღუპება და აღარ იქნება, მაგრამ მისი ჩამდენი არ გაქრება, არამედ რადგან უხრწნელია, გადარჩება ცეცხლში, მასში ყოფნას გააგრძელებს, ისე, რომ არ განადგურდება.

მაგრამ, როგორც ერეტიკოსები ამბობენ, ტანჯვა [მხოლოდ] ათას წელსაც რომ გაგრძელდეს, რა საჭიროა გამოვცადოთ იგი, როდესაც ჩვენს სხეულს ცოტა ხნითაც არ შეუძლია წვას გაუძლოს?[82]

## წმ. ბარსანოფი დიდი

კითხვა: ... ხოლო მინიშნებით სახარების სიტყვებზე: „ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკუანაჲსკნელი კოდრატი“ (მათ. 5,26), ამტკიცებენ, რომ ტანჯვას დასასრული ექნება. უფლის გულისთვის ამიხსენი ეს, მამაო, რომ მტერმა არ მაცდუნოს

და უმეცრებით მის მზაკვრულ ბადეებში არ გავიხლართო.

პასუხი: ... სიტყვები: „ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკუანაჲსკნელი კოდრატი“, უფალმა თქვა იმ მნიშვნელობით, რომ მათი ტანჯვა მარადიული იქნება. რამეთუ როგორ შეძლებს ადამიანი იქ გადახდას? ... უგუნურივით ნუ დაიბნევი. იქ არავინ წარემატება, არამედ ვისაც რა აქვს, აქედან აქვს: კეთილი იქნება ეს, დამპალი თუ დამატკბობელი. ბოლოს და ბოლოს მიატოვე უქმადმეტყველება და ნუ გაჰყვები დემონებს და მათ სწავლებას, რამეთუ ისინი მყისიერად შეიპყრობენ და მყისიერად დასცემენ. ამრიგად, დამდაბლდი ღვთის წინაშე, შენი ცოდვები იგლოვე და შენი ვნებების გამო იტირე. და ეკრძალე შენს თავს, შეხედე, საით იხრება შენი გული ამგვარი ჩაძიებებით. ღმერთმა შეგინდოს.[83]

## წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

გაკვირვებული ვარ, სად იქნებიან ღვთისგან განდგომილები და შორს მყოფნი მისგან, ვინც ყველგანაა? ჭეშმარიტად, ძმანო, ეს საკვირველებაა, რომელიც დიდი საშინელებითაა აღვსილი, და იმისთვის, რომ კარგად გულისხმავყოთ იგი და საღვთო სულის სიტყვათა ურწმუნოებით მწვალებლობაში არ ჩავვარდეთ, საჭიროა განათლებული გონებისმიერი განსჯა. მართალია, ისინი იქნებიან „ყოვლის“ შიგნით, მაგრამ ჭეშმარიტად ღვთაებრივი ნათლისა და ღმერთის გარეშე. იმის მსგავსად, როგორც (ბრმები), ბრწყინვალე მზის ვერმხედველნი, თუმცა კი მთლიანად, ყოველმხრივ განათებულნი არიან მისით, მაგრამ სინათლის გარეშე რჩებიან, რადგან გრძნობითა და მხედველობით განშორებულნი არიან მისგან, ასევე სამების ღვთაებრივი ნათელი არის „ყოველსა“ შინა, მაგრამ ბნელში მყოფი ცოდვილები ვერ ხედავენ ამ ნათელს... თავისი საკუთარი სინდისი დაწვავს და ამხილებს მათ, რის გამოც გამოუთქმელ ტანჯვასა და აუწერელ მწუხარებაში იქნებიან სამარადისოდ.[84]

## წმ. მაქსიმე აღმსარებელი

ითქვა: „იხილოს ყოველმან ხორცმან მაცხოვარება ღმრთისაჲ“ (ეს. 40,5). – იგულისხმება ყოველი მორწმუნე ხორციელი, თანახმად სიტყვებისა: „მივჰფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორციელსა“ (საქმე 2,17), ანუ მორწმუნე ხორციელს. ყოველი ხორციელი ხომ ვერ იხილავს ღვთის მიერ მონიჭებულ ცხონებას, რამეთუ [ეს არ შეეხება] უსჯულოებს, რასაც ააშკარავებს ჭეშმარიტი სიტყვა: „მოისპენ ულმრთოჲ, რაჲთა არა იხილოს დიდებაჲ უფლისაჲ“ (ეს. 26,10).[85]

უფალი და ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე ჩვენდამი სიყვარულის გამოვლინებით მთელი კაცობრიობისთვის ვნებულ იქმნა და ყველას თანასწორად მიანიჭა აღდგომის იმედი, თუმცა თითოეული საკუთარ თავს ჰყოფს ან დიდების, ან ჯოჯოხეთის ტანჯვის ღირსად.[86]

წმ. თეოფანე დაყუდებული

ცხონების საქმე მიმდინარეობს მადლისა და საკუთარი ძალისხმევის ერთობლივი მოქმედებით. არავინ მიჰყავთ ძალით ცხონების გზაზე, ყველა თავისი ნებით მიდის, მადლის მიერ შეწევნული და ეკლესიის მიერ ძღვანებული. ასეა სიცოცხლის დასასრულამდე. ყველაფრის შემდეგ ცხონების მიმღებს განაცისკროვნებს მარადიული დიდება, საკუთარ თავზე გაწეული შრომის შესაბამისად.[87]

## ე) არის თუ არა წინააღმდეგობა მამათა სწავლებებში?

„მოწყალენი" ამბობენ, რომ წმიდა მამები ზოგჯერ ტანჯვის მარადიულობაზე საუბრობენ, ზოგჯერ კი მის სასრულობაზე, და ისეთ მამებსაც კი სწამებენ ცილს, რომლებიც თავიანთ სწავლებებში სრულიად ცხადად და გულმოდგინედ ამხელდნენ ამ ცდომილებას. როგორ შეიძლება დავიჯეროთ, რომ წმინდანები ხან მწვალებლობას ქადაგებდნენ, ხან კი ამას სატანურ, დამღუპველ, ცოდვისკენ მიმდრეკ აზრს უწოდებდნენ? სინამდვილეში ვხედავთ, რომ ტენდენციური ახსნა-განმარტებებით ხდება ეკლესიის სწავლების უცოდინართა ცდუნება, რომლებიც განსწავლული, მაგრამ შეცდომილი „ავტორიტეტების" მჭევრმეტყველებით იხიბლებიან და სიცრუეს იჯერებენ.

„მოწყალენი" ხშირად ახსენებენ წმ. იოანე ოქროპირის სიტყვას, რომელიც აღდგომის დღესასწაულზე იკითხება, სადაც ნათქვამია: „...ჯოჯოხეთი განქარდა, მოიკლა, დაიმხო... სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი? აღსდგა ქრისტე და დაირღვი შენ..."; ასევე დიდი შაბათის კანონის მეექვსე გალობის სიტყვებს: „მეუფებდა ჯოჯოხეთი პირველ ნათესავსა ზედა ჩუენსა, არამედ არა დაადგრა...". ამ და მსგავსი ციტატებით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ჯოჯოხეთში მარადიული ტანჯვა აღარ იქნება. არადა, ადვილი მისახვედრია, რომ ეს და ამგვარი ციტატები ეკლესიის სწავლებას კი არ უნდა დავუპირისპიროთ, არამედ უნდა განვმარტოთ წმიდა წერილისა და წმიდა მამების სწავლებების მოხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სიტყვებს განუსჯელად მივიღებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯოჯოხეთი და მასში ტანჯვა უკვე აღარ არსებობს და ყველა გარდაცვლილი ნეტარებაში მიდის, რასაც „მოწყალენიც" არ ამბობენ. ასეთი აზრი წმიდა წერილს აშკარად ეწინააღმდეგება. წმ. იოანე მახარებლის გამოცხადებაში ვკითხულობთ: „და ვიხილე საყდარი დიდი სპეტაკი და მჯდომარე მას ზედა... და ვიხილენ მკუდარნი მდგომარენი წინაშე საყდრისა მის. და წიგნნი განეხუნეს და სხუაჲ წიგნი განეღო, რომელ არს ცხორებისაჲ. და განისაჯნენ მკუდარნი წერილთა მათგან წიგნთა მათ შინა საქმეთაებრ მათთა... და სიკუდილმან და ჯოჯოხეთმან მოსცნეს მკუდარნი, რომელნი იყუნეს მათ შორის. და განისაჯა თითოეული საქმეთაებრ თვისთა. და სიკუდილი და ჯოჯოხეთი შთავარდეს ტბასა მას ცეცხლისასა. ესე სიკუდილი მეორე არს ტბაჲ იგი ცეცხლისაჲ. და რომელი არა იპოვა წიგნსა მას ცხორებისასა დაწერილ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისასა" (გამოცხ. 20, 11-15). თვითონ წმ. იოანე ოქროპირი მათეს სახარების განმარტებაში გარკვევით

საუბრობს ამ საკითხზე: „მხოლოდ აწინდელი ცხოვრებაა მოღვაწეობის ჟამი, ხოლო სიკვდილის შემდეგ – სამსჯავრო და სასჯელი. „ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“ (ფსალმ. 6,6)? რითი შეიმუსრნენ „ბჭენი რვალისანი“ და დაიმსხვრნენ „მოქლონნი რკინისანი“ (ფსალმ. 106,16)? ქრისტეს სხეულით. მაშინ პირველად გამოჩნდა უკვდავი სხეული და სიკვდილის მეუფება შემუსრა. თუმცა ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მის მიერ სიკვდილის ძალაა შემუსვრილი და არა იმას, რომ მის მოსვლამდე აღსრულებულთა ცოდვებია აღხოცილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი მან გეენიდან ყველა მანამდე მომკვდარი გაათავისუფლა, რატომღა თქვა: „უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ“ (მათ. 11,24)? ამით მიანიშნა, რომ ისინიც, თუმცაღა ნაკლებად, მაგრამ დაისჯებიან“.[88]

უნდა აღინიშნოს, რომ წმიდა მამებთან არის ისეთი გამონათქვამები, რომლებიც კონტექსტის გარეშე შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ე.წ. „აპოკატასტასისის“ დამადასტურებული, მაგრამ, თუ მიუკერძოებლად გამოვიკვლევთ, ვნახავთ, რომ არც ერთი მათგანი არ საუბრობს საშინელი სამსჯავროს შემდეგ წარწყმედილთა ტანჯვის დასრულების შესახებ, თუ არ ჩავთვლით წმ. გრიგოლ ნოსელის ნაწერებში არსებულ გამონათქვამებს. მაგალითად, „მოწყალეები“ ხშირად იმოწმებენ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამს ოცდამეცხრამეტე სიტყვიდან: „ესენი უკუე ჰნებავს თუ, ჩუენსა გზასა და ქრისტესსა, ხოლო ესე თუ არა, თვისსა ვიდოდედ. ნუუკუე და, მუნ ნათელ-იღონ ცეცხლითა დასასრულისა ნათლისღებითა, უსატკივარესითა და უგანგრძობილესითა, რომელი თივებრ შეშჭამს ნივთსა და განჰლევს ყოვლისა სიბოროტისა სისუბუქესა“ (წმ. ეფრემ მცირის თარგმანი).[89] თითქოსდა აქ იგულისხმებოდეს ცოდვილთა ტანჯვის დასრულება. თუმცა, როდესაც ძნელად გულისხმისსაყოფელ გამონათქვამთან გვაქვს საქმე, სანამ რაიმე დასკვნას გამოვიტანთ, უნდა გავარკვიოთ ავტორის შეხედულება სხვა სწავლებებიდან გამომდინარე. ადვილი სანახავია, რომ წმ. გრიგოლი არაერთგზის პირდაპირ და ცხადად საუბრობს ცოდვილთა ტანჯვის დაუსრულებლობაზე; მეტიც, მეორმოცე სიტყვაში ამავე ცეცხლზე ამბობს: „მერმე ამათსა უსაშინელესი (ცეცხლი), რომელი-იგი დაუძინებელსა მატლსა თანადაწესებულ არს, არა დაშრეტადსა, არამედ ბოროტთა თანა საუკუნო ყოფადსა. რამეთუ ესე ყოველნი უჩინომყოფელისა ძალისანი არიან, ნუუკუე და აქაცა მისი უკაცთმოყუარესობაჲ იხილვების ღირსებითითა მტანჯველობითა“ (წმ. ეფრემ მცირის თარგმანი)“;[90] „და კუალად ამათსა უსაშინელესი იგი (ცეცხლი), რომელი მატლსა მას თანა უძილოსა შეყოფილ არს, რომელი არა ოდეს დაშრტების, არამედ საუკუნო არს ცოდვილთათვის. რამეთუ ესე ყოველი ძალისა მის განმხრწნელისაჲ არს, დაღაცათუ ესეცა სახე არს კაცთმოყუარებაჲ მისისაჲ და ღირსი მისისა სახიერებისაჲ“ (წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი).[91]

როგორც ცნობილია, წმ. ეფთვიმე, როდესაც საჭიროდ თვლიდა, თარგმნიდა არა სიტყვასიტყვით, არამედ განმარტებითად, რომ მკითხველისთვის გაეადვილებინა აზრის სწორად გაგება. ზემოთ მოყვანილი გამონათქვამიც (ოცდამეცხრამეტე სიტყვიდან) მან ამგვარად თარგმნა: „ესენი უკუე ენების თუ, გზასა ამას ჩუენსა და ქრისტესსა ვიდოდინ და კეთილად წარემართოს, უკუეთუ არა ჰნებავს, თვისსა გზასა ვიდოდინ. მერმესა მას სამსჯავროსა ნათელ-იღონ ცეცხლითა, სასტიკითა მით და უშრეტითა, ვითარცა

იტყვის, ვითარმედ: ბზე იგი დაიწუას ცეცხლითა უშრეტითა".[92] გარდა ამისა, წმ. იოანე დამასკელი გარკვევით საუბრობს სწორედ ამავე ნათლისღების შესახებ და გვიხსნის წმ. გრიგოლის გამონათქვამში არსებულ ძნელად გულისხმისსაყოფელ სიტყვებს: „მერვე (ნათლისღება) – დასასრულისა იგი, არა საცხორებელი, არამედ უკეთურებისა ვიდრემე მომსპობელი, რამეთუ არღარა მოქალაქობენ ცოდვაჲ და უკეთურებაჲ, ხოლო მტანჯველი – დაუსრულებელად".[93]

ასეთივე მდგომარეობაა სხვა არაერთ გამონათქვამთან დაკავშირებით, რომლებსაც „მოწყალენი" იმოწმებენ თავისი ცრუმოძღვრების დასამტკიცებლად. ვნახოთ, სინამდვილეში რას ქადაგებდნენ და როგორ ამხელდნენ ნეოორიგენისტულ სიცრუეს „მოწყალეთა" მიერ შეურაცხყოფილი მამები.

## წმ. ათანასე დიდი

იმავე წმიდა წერილიდან შეიტყობ ქრისტეს დიდებული და ჭეშმარიტად ღვთაებრივი მეორედ მოსვლის შესახებაც, როცა ქრისტე მოვა არა შეურაცხყოფილი, არამედ თავისი დიდებით, არა სიმდაბლით, არამედ მისთვის თვისობრივი დიდებით, მოვა არა ვნებისთვის, არამედ რათა საბოლოოდ მიაგოს ყველას თავის ჯვრის ნაყოფი, აღდგომა და უხრწნელება. და უკვე ის კი არ განისჯება, არამედ თვითონ განსჯის ყველას, „რაჲთა მოიღოს კაცად-კაცადმან ხორცთა ამათგან რაჲცა-იგი ქმნა, გინა თუ კეთილი გინა თუ ბოროტი" (2 კორ. 5,10), თავისი იმ მოსვლის დროს, რომელშიაც კეთილთათვის გამზადებულია ცათა სასუფეველი, ხოლო ბოროტის მოქმედთათვის – საუკუნო ცეცხლი და ბნელი გარესკნელი.[94]

„ამისთვის გეტყვი თქუენ: ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა. და რომელმან თქუა სიტყუაჲ ძისა კაცისათვის, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათვის, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას" (მათ. 12,31-32).

აქ ჯეროვანია მოვიყვანოთ მოციქულის სიტყვები: „წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს" (2 კორ. 3,6). რამეთუ თუკი საღმრთო წერილში ბევრ რაიმეს სიტყვასიტყვით გავიგებთ, უსჯულო გმობაში ჩავვარდებით. ასეთია ზემოთ მოყვანილი უფლის ნათქვამიც. თუკი ამ ნათქვამს პირდაპირი აზრით მივიღებთ, არა მხოლოდ უსჯულო აზრებამდე მივალთ, არამედ იმასაც აღმოვაჩენთ, რომ უფალი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. რადგან, თუკი „რომელმან თქუა სიტყუაჲ ძისა კაცისათვის, მიეტეოს მას", მაშინ რატომ თქვა თვითონ ძემ: „რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ იქმნეს იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა" (ლუკ. 12,9)? და კვლავ, თუკი: „ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა", რატომ ვაგებთ პასუხს უქმი სიტყვის გამოც (მათ. 12,36)? რატომაა: „რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ, თანამდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა" (მათ. 5,22)? რატომ ამბობს პავლეც: „ნუ სცთებით: არცა მეძავთა, ...არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, ...არცა მომთრვალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ" (1 კორ. 6,9-10)? და თუკი ეს ყოველივე ასეა, მითხარი, რატომაა: „ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა"?

და კვლავ, თუკი ეს უკანასკნელი სიმართლეა, მაშ რაღატომაა დადანაშაულებული საცოდავი ორიგენე, რომელიც ქადაგებდა, რომ ტანჯვა დასრულდება და ღმერთი ყველა ცოდვას მიუტევებს ადამიანებსაც და ეშმაკებსაც? და კიდევ, თუკი სული წმიდის გმობა მიუტევებელია, რისთვის კიცხავს ეკლესია ნოვატს, რომელიც სინანულს უარყოფდა? ... მათ, ვინც გმობს სული წმიდას, ანუ გმობს ქრისტეს ღვთაებრიობას და ამბობს, რომ: „ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასხამს ეშმაკთა“ (ლუკ. 11,15), მათ „არა მიეტეოს არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“. საჭიროა იმის შენიშვნა, რომ ქრისტეს არ უთქვამს: არ მიეტევება მას, ვინც გმობდა და მოინანია, არამედ – მგმობელს, ანუ მას, ვინც გმობაში რჩება. რამეთუ ჯეროვანი სინანული განხსნის ყველა ცოდვას ... სული წმიდის გმობა არის ურწმუნოება და მიტევების მისაღებად არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ ირწმუნო; და ულმერთობისა და ურწმუნოების ცოდვა არ მიეტევება არც აქ, არც მომავალ საუკუნეში.[95]

## წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი

ეს სამსჯავრო იქნება ერთადერთი, საბოლოო და საშინელი, და უფრო სამართლიანი, ვიდრე საშინელი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, იმიტომაცაა საშინელი, რომ სამართლიანია. მაშინ დაიდგმება საყდრები, ძველი დღეთა (დან. 7,9) დაჯდება, წიგნები გადაიშლება, ცეცხლოვანი მდინარე დაიწყებს დენას, თვალთა წინაშე წარმოდგებიან განმზადებული ნათელი და ბნელი: „და გამოვიდოდიან კეთილის მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა“, რომელიც აწ დაფარულია ქრისტეში, ხოლო ბოლოს მასთან ერთად გაცხადდება, „ხოლო ბოროტის მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“ (იოან. 5,29), რომლებიც, ურწმუნონი, უკვე განსაჯა განმსჯელმა სიტყვამ (იოან. 12,48). და პირველნი დაიმკვიდრებენ გამოუთქმელ ნათელს და წმიდა სამების ჭვრეტას... ხოლო მეორეთა ხვედრი, სხვა ყველაფერთან ერთად, იქნება ტანჯვა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყველაზე უწინ, განგდება ღვთისგან და სირცხვილი, რასაც დასასრული არ ექნება.[96]

ჩვენ (მწყემსებს), როდესაც იმ საშიშროების წინაშე ვდგავართ, რომ დავკარგავთ ნეტარი და უკვდავი სულის ცხონებას, რომელიც ან სამუდამოდ დაისჯება ბიწიერების გამო, ან განდიდდება სათნოების გამო; როგორი მოღვაწეობა გველის და როგორი ცოდნა გვჭირდება, რომ სხვებსაც კარგად ვუმკურნალოთ და თავიც განვიკურნოთ, რომ გამოვასწოროთ ცხოვრების წესი და თიხა (ხორცი, სხეული) სულს დავუმორჩილოთ.[97]

## წმ. იოანე ოქროპირი

ქრისტემ გამოგვიცხადა ჩვენ, რომ ამ ცეცხლს არა აქვს დასასრული: „მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების (მარკ. 9,46). ვხედავ, რომ ძრწით ამის გამგონე; მაგრამ რა ვქნათ? ღმერთი ბრძანებს, გამუდმებით ვაუწყებდეთ ამას. ამბობს: „მიუთხრენ ერსა ჩემსა“ (ეს. 58,1). ჩვენ დადგენილი ვართ სიტყვით მსახურებისთვის, ამიტომ საჭიროა მსმენელებს უსიამოვნოც ვუთხრათ; თუნდაც სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ საჭიროა.[98]

თუკი ვიტყვი, რომ „მატლი მათი არა მოაკლდების, და ცეცხლი არა დაშრტების“ (მარკ. 9,44); თუკი ვიტყვი, რომ წავლენ მარადიულ ცეცხლში; თუკი მივუთითებ მდიდარზე, რომელიც უკვე დაისაჯა, – თქვენ იტყვით, რომ ეს მხოლოდ მუქარაა. რით დაგარწმუნოთ? ჭეშმარიტად, ეს სატანური აზრია, რომელიც ამაო ალერსით უზრუნველობაში აგდებს! ...წარღვნამდელი ადამიანებიც მრავალ ამისთანას ამბობდნენ, და ასი წლის განმავლობაში, როცა კიდობანი შენდებოდა, ხეები იკვრებოდა და მართალი (ნოე) ქადაგებდა, არავინ მოიძებნა ისეთი, ვინც ირწმუნებდა. მაგრამ რადგან მათ არ დაიჯერეს სიტყვიერი მუქარა, საქმით განიცადეს სასჯელი. ასევე დაგვემართება ჩვენც, თუკი არ ვირწმუნებთ. ამიტომაც ადარებს უფალი თავის (მეორედ) მოსვლას ნოეს დღეებს: იმის მსგავსად, როგორც იმ წარღვნისა არ სჯეროდათ ზოგიერთებს, დღესაც მრავალს არ სჯერა გეენის წარღვნისა.[99]

როდესაც დადგება განსაზღვრული დღე, დაიდგმება საყდარი, დაჯდება მსაჯული, ცეცხლოვანი მდინარე დაიწყებს დენას (დან. 7,10) და მოგვეთხოვება პასუხი ჩვენი საქმეებისთვის. მაშინ ველარავინ გამოითხოვს ჩვენთვის შეწყალებას... ცოდვილები აუცილებლად დაექვემდებარებიან მარადიულ სასჯელს, მართალნი კი ჯილდოებს ეღირსებიან. ხოლო ის, რომ არც ერთს და არც მეორეს დასასრული არ ექნება, გამოგვიცხადა ქრისტემ, როდესაც თქვა, რომ როგორც ცხოვრება იქნება საუკუნო, ასევე სასჯელიც იქნება საუკუნო. როდესაც მან შეაქო მარჯვნივ მდგომნი და დასაჯა მარცხნივ მდგომნი, დაამატა: „და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი ცხორებასა საუკუნესა“ (მათ. 25,46).[100]

იმასთან დაკავშირებით, რომ გეენა დროებითი არაა, მოისმინე, რას ამბობს აქ პავლე იმ ხალხზე, ვინც არ იცის ღმერთი და ვისაც არ სწამს სახარება: „საშჯელი მოეხადოს, მომსრველი საუკუნოჲ“ (2 თესალ. 1,9).[101]

## წმ. ეფრემ ასური

ნეტარ არიან წმიდანი და მართალნი! მათ ებრძანებათ შესვლა სიცოცხლეში, სიხარული და ნეტარება ღმერთთან მარადიულ სასუფეველში... მაგრამ ვაი ბოროტებსა და უსჯულოებს! ისინი თავიანთი საქმეების სასჯელად სატანასთან ერთად დაიტანჯებიან.

... ვინც მშივრებს თავის პურს არ უნაწილებდა, არ განუსვენებდა გაჭირვებით დატანჯულს, ის იღაღადებს ტანჯვით და არავინ გაიგონებს, არავინ განუსვენებს მას.

... ვისაც აქ ურცხვი სიძვა-მრუშობის გულისთქმა განახურვებდა, ის სატანასთან ერთად მარადიულად დაიწვება გეენაში.[102]

„რომელთა-იგი საშჯელი მოეხადოს“, თანაც არა დროებითი, – რადგან ის საუკუნე არ იქნება დროებითი, – არამედ „მომსრველი საუკუნოჲ, პირისაგან უფლისა“ ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმაც მათგან გაკიცხვა მოითმინა და შეურაცხყოფა განიცადა... როდის დაემართებათ ეს ცოდვილებს? „რაჟამს მოვიდეს დიდებად შორის წმიდათა

მისთა და საკვირველებად ყოველთა შორის მორწმუნეთა მისთა“ (2 თესალ. 1, 9-10), ანუ როდესაც მართალნი მზესავით გაბრწყინდებიან ცათა შინა და მორწმუნენი თავიან საკვირველ ჯილდოს მიიღებენ.[103]

თავს ნუ მოვიტყუებთ, ძმანო! არის სამსჯავრო და მარადიული ტანჯვა, და ცეცხლი უშრეტი (მარკ. 9,43-44), და მატლი უკვდავი (მარკ. 9,46), და ბნელი გარესკნელი (მათ. 8,12), და ტარტაროზი (2 პეტრ. 2,4), და კბილთა ღრჭენა და ტირილი (ლუკ. 13,28), როგორც ამ ყოველივეს შესახებ გვახსენებს უფალი სახარებებში! ის არ ცრუობს: „ცანი და ქუეყანაჲ წარხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარხდენ“ (მათ. 24,35).[104]

### წმ. ეპიფანე კვიპრელი

ამ ჩვენს წმიდა დედა ეკლესიას სწამს... რომ მკვდრეთით აღდგომა, მარადიული სასჯელი, ცათა სასუფეველი, მართალთა განსვენება... ეს ყოველივე ჭეშმარიტია – ესაა ნაქადაგები და დამტკიცებული და არის რწმენის საგანი, რამეთუ ერთნი აღდგებიან მარადიულ ცხოვრებაში, სხვები – მარადიულ სასჯელში, თანახმად სახარებაში დაწერილისა.[105]

### წმ. ამფილოქე იკონიელი

როდესაც ეშმაკის შთაგონებების აღსრულებას დაიწყებ, მაშინ დამწუხრდი, შეიმუსრე, იტირე, რადგან მარადიული ცეცხლისკენ მიისწრაფვი.[106]

### წმ. იოანე სინელი

ნუცა, რაჟამს წყალსა შენსა შესუმიდე, დაივიწყებ წყურილსა ალისა მის საუკუნოჲსასა, და უეჭუელად აიძულო ბუნებაჲ შენი.[107]

ხსენებაჲ ცეცხლისა მის საუკუნოჲსაჲ მარადის დაწვებოდენ და აღდგებოდენ შენ თანა, და ვეროდეს გეუფლოს შენ დახსნილობაჲ ჟამსა ლოცვისასა.[108]

ვნებასა უეჭუელად ანუ შესწორებული მისდა სინანული უხმს, ანუ საუკუნოჲსა სატანჯველისა თანამდებ არს.[109]

### წმ. მაქსიმე აღმსარებელი

და აღასრულებს ის (ღმერთი) შურისგებას თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ. თავისი წმიდა ანგელოზების მიერ მართლებს და ცოდვილებს განაცალკევებს ერთმანეთისგან, ანუ, მოკლედ რომ ითქვას, ხორცს მიდევნებულებს განყოფს იმათგან, ვინც ღვთის სულს მიჰყვება. და როგორც საღვთო სიტყვათა ჭეშმარიტება აცხადებს, ღმერთი მიაგებს მართალ მისაგებელს უსასრულოდ და დაუსრულებლად ყველას, მათი განვლილი ცხოვრების ღირსების შესაბამისად.[110]

ჰოი საშინელი, დაუსრულებელი სირცხვილი, რომელიც მელოდება, თუკი არ შევიცვლები და არ გავთავისუფლდები მრავალი ჩემი ბიწისგან! ჰოი როგორი ტირილი, როგორი მწარე ცრემლი და კბილთა ღრჭენა მომელის, თუკი გვიან მაინც არ გამოვფხიზლდები, არ ჩამოვიბერტყავ დაუდევრობის ღრმა ძილს და არ განვიძარცვავ ცოდვის ჭუჭყიან სამოსს! სინათლის ნაცვლად – სიბნელე, სიხარულის ნაცვლად – ტანჯვა, განსვენების ნაცვლად – სასჯელი და სივიწროვე მომიცავს მე. რაღაა უფრო საშინელი და დამთრგუნველი, რის შესახებ მხოლოდ საუბარიც მტკივნეულია (და რამდენად უფრო მტკივნეულია განცდა! შეგვიწყალე ჩვენ, ჰოი, იესო ქრისტე, და გვიხსენ ამ სატანჯველისგან): განეშორო ღმერთს და მის წმიდა მხედრობას, და სამარადისოდ შეუერთდე ეშმაკსა და მის უწმინდურ დემონებს – თანაც არავითარი იმედი არ არსებობს ამ საშინელებისგან განთავისუფლებისა... და ყოველგვარ სატანჯველზე უფრო მტანჯველი და საშინელია სამუდამო ერთობა მათთან, ვისაც სძულს და მოძულებულია (რომ აღარაფერი ვთქვათ სატანჯველებზე) და განშორება მისგან, ვისაც უყვარს და ვინც უყვართ...

რაკიღა ჭეშმარიტად გვწამს, რომ მომავალში ეს ყოველივე აღსრულდება, ნუ ვიქნებით უზრუნველნი, არამედ მთელი ძალითა და მონდომებით, ვიდრე დრო გვაქვს, გავექცეთ სოფლის საცდურებსა და სოფლისმპყრობელს (ეშმაკს). სოფელი ხომ მიდის და ყველაფერი, რაც მასშია, იღუპება. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად დადგება ჟამი, როდესაც საშინელი საყვირი გაუგონარ ხმას გამოსცემს და ყველაფერი მიწიერი დაიშლება, დაკარგავს აწ ხილულ მშვენიერებას, ხილული სამყარო წავა, დასრულდება, და გაცხადდება აწ დაფარული სულიერი სამყარო, რომელიც თვალს, ყურსა და გონებას სრულიად უცნობ საიდუმლოებს წარმოუდგენს.[111]

უფრო საშინელია, ამბობს წმ. გრიგოლი (ღვთისმეტყველი), ის ცეცხლი, რომელიც დაუძინებელ მატლთან ერთად მოქმედებს და არ ქრება, არამედ მარადის იწვის ბოროტთათვის... მათ, ვინც თავს არ იმკობს კეთილი საქმეებით... მათ ეს ალი მუდმივად ნთქავს და დაუსრულებლად ტანჯავს ცეცხლზე უფრო საშინლად.[112]

### წმ. ისააკ ასური

„გადაურჩე გეენას – ნიშნავს შეხვიდე სასუფეველში, ისევე როგორც სასუფევლის დაკარგვა ნიშნავს გეენაში შესვლას. წმიდა წერილს ჩვენთვის სამი საყოფელის შესახებ არ უთქვამს, არამედ რას ამბობს? „რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თვისითა... და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისსა და თიკანნი – მარცხენით“ (მათ. 25,31,33). სამი გუნდი არ დაუსახელებია, არამედ ორი – ერთი მარჯვენით, მეორე მარცხენით. გაყო მათი სხვადასხვა საყოფელთა საზღვრები: „და წარვიდენ ესენი“ – ანუ ცოდვილები – „სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“ (მათ. 25,46)“.[113]

ამქვეყნად ცხოვრება ამის მსგავსია: ცხრილში დახაზული ასოებიდან წერენ მხოლოდ ზოგიერთ ასოს; ვისაც როდის მოესურვება, უმატებს მათ, ან აკლებს და ცვლის ასოებს. ხოლო მომავალი ცხოვრება ჰგავს სუფთა გრაგნილზე დაწერილ, სამეფო ბეჭდით

დაბეჭდილ ხელნაწერს, რომელსაც არც ემატება რაიმე და არც აკლდება. ამიტომ, ვიდრე ცვლილებებში ვართ, ყურადღებით ვიყოთ საკუთარი თავის მიმართ, და ვიდრე გვაქვს ძალაუფლება საკუთარი ცხოვრების ხელნაწერზე, რომელსაც საკუთარი ხელით ვწერთ, შევეცადოთ, მასში ჩამატებები გავაკეთოთ კეთილი ცხოვრებით, ამოვშალოთ განვლილი ცხოვრების ნაკლოვანებები. რამეთუ ვიდრე ამქვეყნად ვართ, ღმერთი არ ბეჭდავს არც კარგს და არც ცუდს, განსვლის ჟამამდე, როდესაც სრულდება საქმე ჩვენს სამშობლოში და სხვა ქვეყანაში გადავდივართ.[114]

წმ. სილუანე ათონელი

ცოდოა ის ხალხი, ვინც არ იცის ღმერთი. ისინი ვერ ხედავენ მარადიულ ნათელს და სიკვდილის შემდეგ მარადიულ სიბნელეში მიდიან.[115]

დიდება უფალს, რომ სინანული მოგვანიჭა, სინანულით ყველანი ვცხონდებით, გამონაკლისის გარეშე, – ვერ ცხონდებიან მხოლოდ ისინი, ვისაც არ სურს სინანული. ამაში ვხედავ მათ სასოწარკვეთილებას და ბევრს ვტირივარ, მებრალებიან.[116]

### ვ) სიყვარულის, სამართლისა და თავისუფალი ნების შესახებ

„მოწყალეთა“ მთავარი „არგუმენტი“ ა. ოსიპოვის მიერ ამგვარად გამოითქმის: „თუკი ღმერთი სიყვარულია, მაშ, ნუთუ შეეძლო არსებობა მიენიჭებინა იმ უსასრულოდ მრავალრიცხოვანი ადამიანისთვის, რომელთა შესახებაც იცოდა, რომ ისინი აირჩევენ ცოდვას და წავლენ დაუსრულებელ სატანჯველში?“[117] როგორც მამათა სწავლებებიდან ვიცით, ბოროტის მიერ შთაგონებულ აზრებს, რომელთა შორისაა ეკლესიის სწავლებებთან დაკავშირებული ეჭვებიც, ლოცვითა და აღსარებით უნდა ვებრძოლოთ. თუკი ადამიანი არ შეებრძოლება ამ მაცდურ აზრებს, შეიძლება მწვალებლობის მქადაგებელიც გახდეს. ცხადია, როგორც ამ, ა. ოსიპოვის მიერ დასმულ, ასევე უამრავ სხვა კითხვაზე, რომლებიც სარწმუნოების დოგმატებთან დაკავშირებით ჩნდება, ადამიანის შეზღუდული გონებისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხების გაცემა შეუძლებელია, რადგან, როგორც წმიდა პავლე მოციქული ამბობს: „ჵ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკულეველ არიან გზანი მისნი! რამეთუ ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ? ანუ ვინ თანა-მზრახველ ეყო მას?“ (რომ. 11, 33-34).

ქრისტიანობა გვასწავლის ნებისმიერი ადამიანის, მათ შორის მტრის სიყვარულსაც, ამიტომაც ვლოცულობთ ყოველდღიურად: „აცხოვნენ, უფალო, და შეიწყალენ მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი... წარმწყმედელთა წვალებათაგან დაბნეულნი ნათლითა ცნობისა შენისაჲთა განანათლენ და მოაქციენ იგინი მართალსა სარწმუნოებასა ზედა...“ (ლოცვაჲ დილისაჲ). ამგვარად, უფალი გვასწავლის, რომ ჩვენ ყველასთვის სიკეთე უნდა გვსურდეს, ყველაზე დიდი სიკეთე კი ცხონებაა. გამოდის, რომ არ უნდა გვახარებდეს ვინმეს წარწყმედა, თუნდაც დიდი ცოდვილის.

ჩვენ გვაწუხებს ის აზრი, თუ რა გველოდება საშინელი სამსჯავროს შემდეგ და რა ელოდებათ იმ ჩვენს ახლობლებს, ვინც მოუნათლავად აღესრულა ან ცხოვრება არაქრისტიანულად გაატარა; რა ელოდება ყველა იმ ადამიანს, ვინც ჭეშმარიტი ეკლესიის გარეშე ცხოვრობდა, ან ამჟამად ცხოვრობს. მაგრამ ერთია ჩვენი გრძნობები და სურვილები, სამყაროს ხედვა ჩვენეული, ადამიანური თვალსაწიერიდან, ხოლო სხვაა ღვთის „განკითხვანი და გზანი". წმ. სილოანე ათონელი ამბობს: „ერთი მორჩილი ჩვენთან, ათონზე, (წმიდა) პანტელეიმონის სახელობის რუსულ მონასტერში მიეჩვია ღვთისადმი განუწყვეტელ ლოცვას მისი ცოდვების მიტევებისთვის. დაიწყო განსჯა ცათა სასუფევლის შესახებ და ფიქრობდა: „მე შესაძლოა ვცხონდე, თუკი მუდმივად გულმოდგინედ შევევედრები უფალს, რომ მომიტევოს ცოდვები, მაგრამ თუკი სამოთხეში ჩემს მშობლებს ვერ ვიხილავ, მათ გამო მწუხარებაში ვიქნები, რადგან მიყვარს ისინი. რაღანაირი სამოთხე იქნება ჩემთვის, თუკი იქ ჩემი ნათესავების გამო ვიდარდებ, რომლებიც შესაძლოა ჯოჯოხეთში არიან?" ეს ცოდვილი მორჩილი ფიქრობდა ცათა სასუფეველზე: „როგორც მიწაზე დღესასწაული არაა სამხიარულო, თუკი არ არიან მშობლები ან ნათესავები, ასევე სამოთხეში, თუკი ვერ ვიხილავ ნათესავებს, ვინც მიყვარს, მწუხარებაში ვიქნები". ასე ფიქრობდა ნახევარი წლის განმავლობაში. ერთ დღესაც, მწუხრის დროს, მორჩილმა თვალები აღაპყრო მაცხოვრის ხატის მიმართ და ხუთი სიტყვით ილოცა: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი", და ხატის ნაცვლად ცოცხალი მაცხოვარი იხილა. მორჩილის სული და ხორცი გამოუთქმელი სიტკბოებით აღივსო, სულმა სული წმიდით შეიცნო უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და იგრძნო, თუ რა მოწყალეა უფალი, გამოუთქმელია მისი სიმშვიდე და მშვენიერება, და გულისხმაყო სულმა, რომ ღვთის სიყვარულის გამო ადამიანს არ ძალუძს ახსოვდეს ვინმე. მას შემდეგ მისი სული უფლის სიყვარულით იწვის".[118]

ზოგჯერ ადამიანები ბრკოლდებიან, როდესაც წმიდა წერილში ან წმიდა მამებთან კითხულობენ, რომ ღმერთი მრისხანებს ცოდვილებზე, შურს იძიებს, სჯის და მარადიულ ცეცხლში გზავნის მათ და ა.შ. თუ კარგად დავუკვირდებით წმიდა წერილისა და წმიდა მამების სწავლებებს, დავინახავთ, რომ ღმერთს ჩვენზე მეტად უყვარს ნებისმიერი ცოდვილი და ჩვენზე მეტად სურს მათი ცხონება, ხოლო წარწყმედილთა მარადიული ტანჯვის ერთადერთი მიზეზი არის მათ მიერ თავისუფალი ნებით დამტკიცებული ბოროტი არჩევანი. წმ. ირინეოს ლიონელი ამბობს: „ყველას, ვინც დაიცვა მისდამი სიყვარული, ის (ღმერთი) მიანიჭებს თავისთან ზიარებას. ღმერთთან ზიარება არის სიცოცხლე და ნათელი და ყველა იმ სიკეთეებით ტკბობა, რაც ღმერთს აქვს. ხოლო მათ, ვინც თავისი ნებით განეშორება მას, ის განიშორებს, რადგან თვითონ აირჩიეს ეს. ღვთისგან განშორება სიკვდილია და ნათლისგან დაშორება სიბნელეა; ღვთისგან გაუცხოება დაკარგვაა ყველა იმ სიკეთისა, რაც ღმერთს აქვს. ამიტომ ისინი, ვინც განდგომილებით დაკარგა ზემოთ ჩამოთვლილი, როგორც ყველა სიკეთის დამკარგველები, ყველანაირად იტანჯებიან, არა იმიტომ, რომ ღმერთმა ისინი წინასწარ დასაჯა, არამედ სასჯელი ატყდებათ ყველა სიკეთის დაკარგვის შედეგად. მაგრამ ღვთის სიკეთეები მარადიული და დაუსრულებელია, ამიტომ მათი დაკარგვა მარადიული და დაუსრულებელია; მსგავსად ხდება განუზომელ სინათლესთან მიმართებით. ვინც თავი დაიბრმავა ან სხვამ დააბრმავა, მუდმივად მოკლებულნი

არიან სინათლის სიტკბოებას არა იმიტომ, რომ სინათლემ მიაყენა სიბრმავის ტანჯვა, არამედ თვითონ სიბრმავეს მოაქვს მათთვის უბედურება. ამიტომ ამბობდა უფალი: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არა დაისაჯოს“, ანუ არ განეშორება ღმერთს, რადგან ის რწმენის მიერ ღმერთთან ერთობაშია. „ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა“, ანუ ნებაყოფლობით თვითონ განიშორა თავი ღმერთისგან. „და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ. რამეთუ ყოველი რომელი ბოროტს იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რაჲთა არა ემხილნენ საქმენი მისნი. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვალს ნათლად, რაჲთა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან“ (იოან. 3,19-21).[119]

## წმ. იოანე ოქროპირი

ნუ მეტყვი: სადღაა სამართალი, თუკი ტანჯვას დასასრული არ ექნება? როდესაც ღმერთი რაიმეს აღასრულებს, დაემორჩილე მის განწესებებს და ნუ ცდილობ ისინი ადამიანურ მსჯელობებს დაუმორჩილო.[120]

„ვაჲ კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისაჲ მიეცეს. უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი“ (მათ. 26,24). ... ვიღაც ისევ იტყვის: „თუკი უმჯობესი იყო, რომ ის არ დაბადებულიყო, რატომ დაუშვა ღმერთმა როგორც მისი, ასევე ყველა ბოროტის მოვლინება ქვეყნად?“ შენ უნდა გაგეკიცხა ბოროტები იმის გამო, რომ მათ საშუალება ჰქონდათ არ ყოფილიყვნენ ასეთები და ბოროტები გახდნენ; შენ კი ამის ნაცვლად მეტისმეტად იძიებ და იკვლევ ღვთის განგებულებას, თუმცაღა იცი, რომ არავინაა ბოროტი აუცილებლობის გამო. შენ იტყვი: „მხოლოდ კეთილნი უნდა დაბადებულიყვნენ, და აღარ იქნებოდა საჭირო არც გეენა, არც დასჯა, არც ტანჯვა, და თვით ბოროტებაც არ იქნებოდა; ბოროტნი ან არ უნდა დაბადებულიყვნენ, ანდა, თუ დაიბადებოდნენ, მაშინვე უნდა მომკვდარიყვნენ“. უპირველესად უნდა მიგითითო მოციქულის შემდეგ გამონათქვამზე: „აწ უკუე, ჰოი კაცო, შენ ვინ ხარ, რომელი სიტყუას-უგებ ღმერთსა? ჰრქუა ნუ-მეა ქმნულმან შემოქმედსა: რაჲსათვის ესრეთ შემქმენ მე?“ (რომ. 9,20).[121]

როგორ არ გეშინია კადნიერად ილაპარაკო ღმერთზე? როცა შენ ამბობ, რომ ღმერთი კაცთმოყვარეა და არ სჯის, შენი ნათქვამით გამოდის, რომ თუკი დასჯის, ის აღარ იქნება კაცთმოყვარე. ვერ ხვდები, როგორ აზრებში გაგდებთ ეშმაკი?[122]

## წმ. ბასილი დიდი

ღმერთი სახიერია, მაგრამ მართლმსაჯულიცაა. ხოლო მართლმსაჯულის თვისებაა ღირსების მიხედვით მიგება, როგორც დაწერილია: „კეთილი უყავ, უფალო, სახიერთა და გულითა წრფელთა, ხოლო რომელთა გარდააქციონ გულარძნილებად, მიიყვანნეს იგინი უფალმან მოქმედთა თანა უშჯულოებისათა“ (ფსალმ. 125,5). ღმერთი მოწყალეა, მაგრამ მსაჯულიცაა, რამეთუ ნათქვამია: „უყუარს წყალობაჲ და მშჯავრი“ (ფსალმ. 32,5).

ამიტომაც ამბობს: „წყალობასა და სამართალსა გაქებდე შენ, უფალო, გიგალობდე“ (ფსალმ. 100,1). ჩვენ გვისწავლია ვისთვისაა წყალობა, რამეთუ ნათქვამია: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ (მათ. 5,7). ხედავ, როგორი განკითხვით იყენებს წყალობას? მსჯავრის გარეშე არ იწყალებს და წყალობის გარეშე არ განიკითხავს. რამეთუ: „მოწყალე არს უფალი და მართალ“ (ფსალმ. 114,5).[123]

### წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

ყოვლადძლიერი ღმერთი შეეწევა მათ, ვისაც საკუთარი ნებით სურს წინ აღუდგეს ეშმაკს, და აძლევს მათ ბოროტების ძლევის ძალას. ხოლო მათ, ვისაც არ სურს შეეწინააღმდეგოს და შეებრძოლოს ეშმაკს, ღმერთი არ აიძულებს, რომ არ დაარღვიოს თავის ხატად შექმნილი ჩვენი გონიერი ბუნების თავისუფალი ნება და არ დაგვაქვეითოს პირუტყვის ხარისხში.[124]

### წმ. თეოფანე დაყუდებული

თქვენ მუდმივად ღვთის მოწყალება გაქვთ მხედველობაში, ხოლო ღვთის სიმართლეს ივიწყებთ, – მაშინ როცა უფალი არის „მოწყალე და მართალ“ (ფსალმ. 114,5)... ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ცოდვილები სასჯელისა და ტანჯვის გარეშე, ცხადია, არ უნდა დარჩნენ, მაგრამ ეს ტანჯვა არ იქნება მარადიული: დაიტანჯებიან, დაიტანჯებიან განდგომილები, და მერე – სამოთხეში. ძალიან გვინდა ღმერთზე უფრო მოწყალენი გამოვჩნდეთ! მაგრამ ეს გამოგონებაც უსაფუძვლოა: ჯოჯოხეთი განწმენდის ადგილი არაა, არამედ სასჯელის, ტანჯვის, განწმენდის გარეშე.[125]

### წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი

შენ გეეჭვება ჯოჯოხეთისა და მარადიული ტანჯვის არსებობა? იმეორებ დღევანდელ მოდურ შეპასუხებას: „ეს არ შეესაბამება ისეთი კეთილი არსების ლმობიერებას, როგორიც ღმერთია“. ეჰ, ჩემო მეგობარო! ნუთუ შეუძლია ისეთ სუსტ, შეზღუდულ არსებას, როგორიც ადამიანია, თავისით იმსჯელოს ღმერთზე, უსაზღვრო, ყოველგვარ შემეცნებასა და მსჯელობაზე აღმატებულ არსებაზე, გამოიტანოს დასკვნები ღმერთზე საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე? მიატოვე შენი საკუთარი მსჯელობები და მთელი გულით ირწმუნე ყველაფერი, რასაც სახარება გვასწავლის. თვითონ მაცხოვარმა თქვა: „და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა“ (მათ. 25,46); სხვა ადგილას თქვა: „ჯოჯოხეთს შინა აღიხილნა თუალნი თვისნი“ (ლუკ. 15,23). მაცხოვარმა თქვა, რომ არის ჯოჯოხეთი, არის მარადიული ტანჯვა. შენი შეპასუხება რისთვისღაა![126]

## თავი მესამე

## წმიდა მამათა თანხმიერი მოწმობა საუკუნო ტანჯვისა და საუკუნო ნეტარების შესახებ

### ა) I–V საუკუნეების მამები

#### წმ. კლიმენტი რომაელი (I ს.)

1. უფალი ამბობს: „არცერთ მსახურს არ შეუძლია ორი ბატონის მონობა“ (მათე, 6.24; ლუკა, 16.13). თუკი გვინდა ვემონოთ ღმერთსა და მამონას, ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენთვის საფრთხისშემცველია. 2. „რადგან რა სარგებელი ექნება ადამიანს, თუ მთელ ქვეყნიერებას მოიპოვებს, სულს კი ავნებს?“ (მათე, 16.26; მარკ. 8.36). 3. ეს სამყარო და მომავალი – ორი მტერია. 4. ეს ქადაგებს მრუშობას, გახრწნილებას, ვერცხლისმოყვარებასა და სიცრუეს, ის კი უარს ამბობს მათზე. 5. ამიტომაც არ შეგვიძლია ვიყოთ ორივე მათგანის მეგობრები, არამედ გვმართებს ამის უარყოფა და იმასთან მიახლება. 6. გავიაზროთ, რომ უკეთესია ყოველივე აქაურის მოძაგება, – რადგან ისინი ნაკლებმნიშვნელოვანნი, მცირეხნოვანნი და ხრწნადნი არიან, – ხოლო იმისი, უხრწნელი სიკეთეებისა კი შეყვარება. 7. რადგან ქრისტეს ნების მოქმედნი, ჩვენ სიმშვიდეს მოვიხვეჭთ, ხოლო თუ ამას არ მოვიმოქმედებთ, თუ ვეურჩებით მის მცნებებს, არაფერი გვიხსნის საუკუნო სატანჯველისაგან. 8. ამბობს კიდეც წმიდა წერილი ეზეკიელთან, რომ „რომც აღდგეს ნოე და იობი და დანიელი, ვერ იხსნიან ტყვეობაში მყოფ თავიანთ შვილებს“ (შდრ. ეზეკ. 14.18,20). 9. და თუ ასეთ მართალ ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარი სიმართლით გამოიხსნან თავიანთი შვილები, ჩვენ, თუკი არ დავიცავთ ნათლისღებას წმინდად და შეუბღალავად, რა იმედი შეიძლება გვქონდეს ღვთის სასუფეველში შესვლისა? ან ვინ იქნება ჩვენი ქომაგი, თუ არ აღმოჩნდება, რომ ღვთისსათნო და მართალი საქმეები მოგვიმუშაკებია?[127]

#### წმ. ეგნატი ღმერთშემოსილი (I-II სს.)

1. ნუ შეცდებით, ჩემო ძმებო! სახლის განმხრწნელნი ღვთის სასუფეველს არ იმკვიდრებენ (1 კორ. 6.7,9-10, 10.8; გალ. 5.21). 2. თუკი ისინი, ვინც ხორციელად სჩადიან ამას, სიკვდილს ექვემდებარებიან, რაოდენ მეტად დაექვემდებარება მას ადამიანი, თუკი იგი ბოროტი მოძღვრებით განხრწნის ღვთის რწმენას, რომლისთვისაც ჯვარს ეცვა იესო ქრისტე? ასეთი ადამიანი, როგორც სულმდაბალი, დაუშრეტელი ცეცხლისაკენ მიემართება, სწორედ ასევე ისჯება მისი მსმენელიც.[128]

#### წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტვილობიდან (II ს.)

მაგრამ პროკონსულმა ისევ მიმართა მას:

– რადგან მხეცებს არად აგდებ, ცეცხლში დავაწვევინებ შენს თავს, თუკი აზრს არ

შეიცვლი.

პოლიკარპემ კი:

– შენ იმუქრები ცეცხლით, რომელიც რაღაც დროის განმავლობაში იწვის და მცირე ხნის შემდეგ ქრება, რადგან არ იცი მომავალი სამსჯავროს და საუკუნო სატანჯველის ცეცხლის შესახებ, რომელიც უწმინდურებს ელოდება. მაგრამ რას აყოვნებ? გააკეთე ის, რაც გნებავს.[129]

## წმ. მოწამე იუსტინე ფილოსოფოსი (II ს.)

ჩვენ გვიპყრია ის მოძღვრება, რომ ვერც ბოროტმოქმედი, ვერც ანგარებიანი, ვერც ბოროტგანმზრახველი, ვერც სიკეთის მოქმედი ვერ შეძლებს დაემალოს ღმერთს, და რომ თითოეული თავისი საქმეების მიხედვით მიიღებს მარადიულ ტანჯვას ან ცხონებას. ყველა ადამიანმა რომ იცოდეს ეს, არავინ აირჩევდა ბოროტებას ცხოვრების ხანმოკლე დროის განმავლობაში, როცა ეცოდინებოდა, რომ წავა მარადიულ ცეცხლოვან სასჯელში, არამედ ყოველმხრივ შეიკავებდა თავს და სათნოებით გამშვენდებოდა ღვთიურ სიკეთეთა მისაღებად და სასჯელთაგან გადასარჩენად.[130]

## წმ. მღვდელმოწამე ირინეოს ლიონელი (II ს.)

ის (ღმერთი) აღასრულებს თავის სამართლიან სამსჯავროს ყველას მიმართ. ბოროტ სულებს, შეცოდებულ და განვარდნილ ანგელოზებს, ასევე უკეთურ, ცოდვილ, უსჯულო და ღვთის მგმობელ ადამიანებს გაგზავნის მარადიულ ცეცხლში; პირიქით, მართლებსა და წმინდანებს, მისი მცნებების დამცველებს და თავიდანვე ან სინანულის შემდეგ ღვთის სიყვარულში მყოფებს, მიანიჭებს ცხოვრებას, უხრწნელებას და მარადიულ დიდებას.[131]

## წმ. მღვდელმოწამე იპოლიტე რომაელი (II-III სს.)

უნდა დავიცვათ თავი ყოველგვარი ბოროტებისგან, რომ ამგვარად გადავურჩეთ მარადიულ ცეცხლსა და დაუსრულებელ ტანჯვას.[132]

და კიდევ ამბობს უფალი: „ამენ, ამენ გეტყვი თქუენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი... და გამოვიდოდიან კეთილის მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“ (იოან. 5,25-29). ამბობს, რომ ერთნი აღდგებიან ცხოვრებაში – ისინი, ვინც ირწმუნა ჭეშმარიტი ცხოვრება და რომელნიც ჩაწერილნი არიან ცხოვრების წიგნში; ხოლო სხვები (აღდგებიან) ყვედრებაში და საუკუნო სირცხვილში – ისინი, ვინც ანტიქრისტეს გაჰყვა და რომელნიც მასთან ერთად სამუდამო ტანჯვას მიეცემიან.[133]

## წმ. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენელი (III ს.)

სიკვდილის უნდა ეშინოდეს მხოლოდ იმას, ვინც არაა აღორძინებული წყლისა და სულის მიერ და საკუთარ თავს ამზადებს გეენის ცეცხლის მსხვერპლად, ვინც არაა შემოზღუდული ჯვრითა და ქრისტეს ვნებით, ვინც პირველი სიკვდილის მიერ მეორე სიკვდილში წარიგზავნება. სიკვდილის უნდა ეშინოდეს მას, ვინც ამა სოფლიდან გასვლის შემდეგ სამუდამოდ დაიტანჯება და ვისთვისაც აქ ყოფნის გაგრძელება არის მხოლოდ დროებითი გადადება ტანჯვისა და ვაებისა.[134]

## წმ. ანტონი დიდი (III-IV სს.)

სულიერი სათნოებები გვყოფენ მარადიული სიკეთეების ღირსად, ხოლო ადამიანთა ნებსითი ცოდვები მარადიული ტანჯვის მიზეზია.[135]

საყვარელნო, გთხოვთ თქვენდამი დიდი სიყვარულით: წარემატეთ კეთილმსახურებაში, ვიდრე ხორცში ხართ, დაიტირეთ თავები, დაიტირეთ შინაგანად დღისით და ღამით, რომ სიკვდილის შემდეგ სასტიკად არ იტანჯოთ, მარადიულად ცრემლები არ ღვაროთ და მარადიულ სიმწარეში არ იყოთ. ნუ შეხვალთ ფართო ბჭეში, ნუ ივლით სწორი და მსუბუქი გზით, რომელსაც დასაღუპავში მიჰყავს და რომელსაც ადგას ადამიანთა უმეტესი ნაწილი, არამედ შედით ვიწრო ბჭეში, დაადექით ძნელ და გასაჭირიან გზას, რომელსაც მიჰყავს ცხოვრებაში და რომელსაც მცირედნი ადგანან. ვინც ვიწრო ბჭეში შედის, ისაა ჭეშმარიტი მოღვაწე ღვთისა; ის მიიღებს ჯილდოს თავისი შრომისთვის და დაიმკვიდრებს სასუფეველს.[136]

## წმ. ათანასე დიდი (IV ს.)

ამ (93-ე) ფსალმუნში დავითი საუბრობს განგებულებაზე და გვასწავლის, არ მივეცეთ მწუხარებასა და შფოთვას, თუკი ცოდვილები დროებით კეთილდღეობაში იქნებიან, ხოლო კეთილმსახურნი – დევნაში; რამეთუ არც ერთია მუდმივი და არც მეორე; ერთთათვის მწუხარებას შეცვლის მარადიული ტკბობა სიკეთეებით, ხოლო მეორეთათვის მოჩვენებით კეთილდღეობას დაუსრულებელი სასჯელი მოჰყვება..[137]

## წმ. ბასილი დიდი (IV ს.)

გონებაში ჩაიწერე საბოლოო დიდი ცვლილება, რომელიც ყველას შეეხება: როდესაც ძე ღვთისა მოვა „დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა“ (მათ. 25,31). რამეთუ „მოვიდეს... და არა დადუმნეს“ (ფსალმ. 49,3), როდესაც მოვა განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რათა მიაგოს თითოეულსა „საქმეთა მათთაებრ“ (მათ. 16,27); როცა ის საყვირი რაღაც დიდებულსა და საშინელ ხმას გამოსცემს, გააღვიძებს საუკუნითგან დაძინებულებს, „და გამოვიდოდიან კეთილის მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“ (იოან. 5,29). გაიხსენე დანიელის ხილვა, როგორ წარმოაჩენს სამსჯავროს ჩვენს თვალთა წინაშე;

ამბობს: „და ვხედევდ მე, ვიდრემდის საყდარნი დაიდგნეს და ძუელი იგი დღეთაჲ დაჯდა. სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი, და თმაჲ თავისა მისისაჲ, ვითარცა მატყლი წმიდაჲ... ეტლისთუალნი მისნი ცეცხლებრ შემწუველ. მდინარე ცეცხლისაჲ იქცეოდა წინაშე მისსა. ათასნი ათასთანი ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრთანი დგეს წინაშე მისსა. და სამსჯავროჲ დაეგო და წიგნნი განეხუნეს“ (დან. 7, 9-11). კეთილი, უკეთური, ცხადი, დაფარული, საქმეები, სიტყვები, გულისსიტყვები – ყველაფერი მყისიერად გაცხადდება ყველას გასაგონად, ანგელოზთა და კაცთა. როგორ მდგომარეობაში იქნებიან მაშინ ცხოვრების ცუდად განმვლელნი? სად დაიმალება სული, რომელიც უცებ ამდენი მაყურებლის წინაშე შერცხვენილი გამოჩნდება? როგორ მდგომარეობაში იქნება ამგვარ დაუსრულებელ და მოუთმენელ ტანჯვას მიცემულის სხეული იქ, სადაც ჩაუქრობელი ცეცხლია, უკვდავად მტანჯველი მატლია, ჯოჯოხეთის ბნელი და საშინელი ფსკერია, მწარე გოდებაა, უცნაური ქვითინი, ტირილი და კბილთა ღრჭენაა და არა აქვს ტანჯვას დასასრული?[138]

ეს საუკუნე სინანულის საუკუნეა, ხოლო ის – მიგებისა; ეს – კეთებისა, ის – გადახდისა; ეს – მოთმინებისა, ის – ნუგეშისცემისა. აწ ღმერთი დამხმარეა მათი, ვინც ბოროტი გზიდან მოიქცევა, ხოლო მაშინ – საშინელი და მიუკერძოებელი გამომეძიებელი კაცთა საქმეებისა, სიტყვებისა და გულისსიტყვებისა. აწ ვსარგებლობთ სულგრძელებით, მაშინ შევიცნობთ მართლმსაჯულებას, როცა აღვდგებით – ერთნი მარადიული სასჯელისათვის, ხოლო სხვები მარადიული ცხოვრებისათვის, და ყველა მიიღებს საქმეების მიხედვით.[139]

„ნუმცა ვინ გაცთუნებს ამაოჲთა სიტყვითა“ (ეფეს. 5,6), რამეთუ მოიწიოს შენ ზედა მეყსა შინა წარწყმედაჲ და დაქცევაჲ მსგავსად ნიავქარისა მოხდეს. მოვიდეს ანგელოზი მჭმუნვარე, რომელი-იგი წარიყვანებდეს იძულებით და ზიდვიდეს სულსა შენსა, შეკრულსა ცოდვათა მიერ, რომელი-იგი ზედაისზედა მოიქცეოდის სოფლისა ამის მომართ და გოდებდეს თვინიერ ცრემლთაჲსა, რაჟამს-იგი ორღანოჲ გოდებისაჲ დახშულ იყოს.

ჰ, რაჲზომ აბრალო მაშინ თავსა შენსა, რაჲზომ სულთ-ითქუნე უსარგებლოდ და ინანდე ბოროტთა მათ განზრახვათა შენთა, რაჟამს იხილო სინათლე მართალთაჲ ბრწყინვალესა მას განყოფილებასა შინა ნიჭთასა და მჭმუნვარებაჲ ცოდვილთაჲ ბნელსა მას შინა ღრმასა!

ჰ, ვითართა სიტყუათა იტყოდი მაშინ სალმობითა გულისა შენისაჲთა? „ვაჲმე, ვითარ არა განვაგდე ჩემგან მძიმე ესე ტვირთი ცოდვათაჲ, ვინაჲთგან ესრეთ ადვილ იყო განგდებაჲ მისი, არამედ უდებებისათვის ჩემისა ტვირთი ესე მრავალთა ამათ ბოროტთაჲ თავსა ზედა ჩემსა დავიკრიბე? ვაჲმე, ვითარ არა განვიბანენ შეგინებულებანი ესე ჩემნი, არამედ ესრეთ შებღალული ვარ ცოდვითა? აწმცა ვიყავ ანგელოზთა თანა, აწმცა კეთილთა მათ შინა ზეცისათა ვიშუებდი. ჰ ბოროტნი იგი განზრახვანი! წარმავალისა მისთვის გემოჲსა ცოდვათაჲსა უკუდავად ვიგუემები, გულისთქუმათათვის ხორცთაჲსა ცეცხლსა მივეცემი. სამართალ არს საშჯელი ღმრთისაჲ: მიწოდდეს მე ცხორებისა მიმართ და მე არა ვერჩდი, მასწავლიდეს და არა ვისმენდი, მეტყოდეს მე უმჯობესსა,

ხოლო მე ვეცინოდე“.

ამათ ესევითართა სიტყუათა იტყოდი და სტიროდი და იგლოვდე თავსა შენსა, უკუეთუ წარხვიდე უწინარეს ნათლისღებისა და არარაჲ გერგოს.[140]

## წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (IV ს.)

რაჟამს-იგი მოვიდეს სიძე და ხმაჲ იყოს, რომელი უწოდდეს მიმგებებელთა მისთა, ხოლო რავდენნი იყვნეს ბრძენ, მიეგებნენ ბრწყინვალითა ნათლითა და ზეთითა ფრიადითა. ხოლო ცოფნი იგი შეშფოთდენ და ითხოვდენ ზეთსა მათგან, რომელთა აქუნდეს, რაჟამს-იგი არღარა იყოს ჟამი თხოვისაჲ. ხოლო სიძე იგი ადრე შევიდეს სასძლოდ და ბრძენნი იგი თანა-შეჰყვენ და სხუანი იგი გარე დაშთენ, რომელთა ჟამი იგი სასძლოდ შესლვისაჲ განმზადებასა შინა თავთა მათთასა წარაგეს, რამეთუ პირველვე არა განმზადებულ იყვნეს და ფრიად იტირონ, რაჟამს გულისხმა-ყონ, რაჲ-იგი უყო მათ უდებებამან, რაჟამს-იგი არღარა შესავალ იყოს სასძლოჲ იგი, დაღაცალუ ფრიად ევედრებოდინ, რომელი-იგი თავთა თვისთა ბოროტად დაუხშეს... რამეთუ მუნ ვერვინ შევალს შეურაცხმყოფელთაგანი და დახსნილთაჲ, არცა რომელთა ემოსოს სამოსელი ხენეში და არა საქორწინე.[141]

მე მაშინებენ სასტიკი ღამის ხილვები: სამსჯავრო, მოუსყიდველი მსაჯული, ძრწოლით წარდგომა სამსჯავროზე, ერთი მხრივ მდინარე, ჩაუქრობელი ცეცხლით მოთუხთუხე, მეორე მხრივ მატლი, მარადიულად მღრღნელი, შუაში სინდისი – ეს მსჯავრმდებელი, რომელიც არ საჭიროებს დაწერილ სამხილებს.[142]

სამი გზაა და სამი მიზანი (საუბარია უსჯულო ცხოვრების გზაზე, მონაზვნობის გზაზე და ერში ქრისტიანული ცხოვრების გზაზე – მთარგმნ. შენ.). ერთი გზა დაბლობია, მრავალთა ნაფეხურებითაა გაკვალული, ფართოა, მსუბუქია, მაგრამ საცოდავ დასასრულში მიმყვანებელია – ციცაბოებისკენ, უფსკრულებისკენ, საშინელი ტარტაროზისკენ, სადაც ცეცხლოვანი მდინარეებია, წარწყმედულ სულთა დასჯა და შეუწყვეტელი ტანჯვა.[143]

ვინ იტყვის, რა მოაქვს ცოდვილთათვის უკანასკნელ დღეს? იქ მოგიზგიზე ცეცხლია, საშინელი წყვდიადი ნათლისაგან განშორებულთათვის, მატლი – მუდმივი ხსოვნა ჩვენი ცოდვებისა.[144]

## წმ. ეფრემ ასური (IV ს.)

ვაიმე, ვაიმე, საყვარელნო! ვინ გაბედავს გამოთქვას, ან ვის ეყოფა ძალა, მოისმინოს ის საშინელი და უკანასკნელი ამბავი! ვისაც ცრემლი გაქვთ, იტირეთ, ხოლო ვისაც არ გაქვთ, მოდით, მოისმინეთ, რა გელოდებათ, რომ უდებნი არ ვიყოთ ჩვენი ცხონების მიმართ. რამეთუ მაშინ მეგობარი მეგობარს დაშორდება იმ საცოდავი განშორებით და დაადგებიან გზას, რომლისგანაც დაბრუნება აღარ არსებობს.[145]

ყველა, ვისაც სურს გაექცეს მარადიულ გეენას, რომელშიაც ცოდვილნი იტანჯებიან, და დაიმკვიდროს მარადიული სასუფეველი, აქ მუდმივად ითმენს ჯოჯოხეთურ გაჭირვებებს იმ განსაცდელებისგან, რომლებსაც ბოროტი შეამთხვევს. და თუკი ბოლომდე მოითმენენ და რწმენით დაელოდებიან უფლისმიერ წყალობას, მადლით განთავისუფლდებიან განსაცდელებისა და მწუხარებებისგან, სული წმიდასთან შინაგანი ზიარების ღირსნი გახდებიან, ხოლო იქ განთავისუფლდებიან მარადიული გეენისგან და უფლის მარადიულ სასუფეველს დაიმკვიდრებენ.[146]

## წმ. კირილე იერუსალიმელი (IV ს.)

სინანულისა და ცოდვათა მიტევების დრო მხოლოდ ამ ცხოვრებითაა შემოსაზღვრული.[147]

ყველა ადამიანი აღდგება (მკვდრეთით), მაგრამ ყველასთვის ერთნაირი არ იქნება აღდგომა. ყველანი მივიღებთ მარადიულ სხეულებს, მაგრამ არა ყველანი ერთნაირს. მართალნი მიიღებენ იმისთვის, რომ მარადიულად იხარონ ანგელოზებთან ერთად, ხოლო ცოდვილნი – რათა მარადიულად ითმინონ ტანჯვა ცოდვებისათვის.[148]

## წმ. ამბროსი მედიოლანელი (IV ს.)

შენ მზად უნდა იყო მოითმინო ნებისმიერი გასაჭირი, ნებისმიერი შრომა, ოღონდ კი გადაურჩე სამუდამო ტანჯვას.[149]

## წმ. მაკარი დიდი (IV ს.)

ორ ნაწილად გაიყოფა კაცობრიობა: ერთი ნაწილი იქნება ბნელი ფარა, მარადიულ ცეცხლში მიმავალი, ხოლო მეორე – ნათლით აღვსებული სამწყსო, ზეცად აღმავალი. რაც ახლა შევიძინეთ სულში, იგივე გამობრწყინდება და გამომჟღავნდება მაშინ და სხეულს დიდებით შემოსავს.[150]

## წმ. გრიგოლ ნოსელი (IV ს.)

გწყურია უკვდავი დიდება? გამოუცხადე საიდუმლოდ შენი ცხოვრება მას (ღმერთს), ვისაც ძალუძს მოგანიჭოს, რაც გწყურია. გეშინია მარადიული სირცხვილისა? გეშინოდეს მისი, ვინც განაშიშვლებს (სამარცხვინო საქმეებს) სამსჯავროს დღეს.

... ის (ღმერთი) შენ გიბრძანებს, პირი იბრუნო ყოველგვარი ამქვეყნიური დიდებისაგან. ვინც ასეთ დიდებას დაეძებს და მისკენ მიმართავს თავის ცხოვრებას, ის არა მხოლოდ მარადიულ დიდებას დაკარგავს, არამედ დაე სასჯელსაც მოელოდეს. რამეთუ უფალი ამბობს: „ვაჲ თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ კაცნი“ (ლუკ. 6,26). გაექეცი ყველანაირ კაცობრივ პატივს, რომლის ბოლო მარადიული სირცხვილი და უპატიოებაა.[151]

ასეთია თქვენი ახლობელი და მეგობარი, მევახშეებო! თავისი ცხოვრების წესის შესაბამისად დაასრულა ცხოვრება ფულის ამაო მომპოვებელმა, რომელმაც მძიმე გაჭირვებებში და შიმშილში ჩაიგდო თავი; მოაგროვა მემკვიდრეობა, თავისთვის – მარადიული სასჯელი, ხოლო შვილებისთვის – სიგლახაკე.[152]

იქ ვხედავ ძეს კაცისას, ზეციდან მომავალს... შემდეგ (ჩანს) ამაღლებული საყდარი დიდებისა და კაცთა მოდგმის ყველა ტომი, რომელნიც კი ყოფიერებაში მოსულან, მზის ნათელი მიჰფენიათ და ეს ჰაერი ჩაუსუნთქავთ, ორ ნაწილად განყოფილნი და სამსჯავროს წინაშე წარმდგარნი. მარჯვნივ მდგომნი ცხვრებად არიან წოდებულნი, ხოლო მეორე მხარეს მდგომნი, მესმის, თხებად იწოდებიან, რომლებმაც ეს სახელი მსგავსი ზნის მიხედვით მიიღეს. მესმის იქ მსაჯულის სიტყვები განსასჯელთა მიმართ და განსასჯელთა პასუხები მეუფისადმი. თითოეულს შეხვდება ის, რაც მისთვის ეგების: ცხოვრების კეთილად გამტარებლებს – სასუფევლით ტკბობა, ხოლო კაცთმოძულეებსა და ბოროტებს – ცეცხლოვანი ტანჯვა, თანაც მარადიული. ეს ყველაფერი ზედმიწევნითაა აღწერილი.[153]

### წმ. იოანე ოქროპირი (IV-V სს.)

თუნდაც იყოს ისე, რომ შენ მრავალი წელი იცოცხლებ და არავითარ ცვლილებას არ განიცდი; რა არის ეს დაუსრულებელ საუკუნეებთან და იმ მძიმე და აუტანელ ტანჯვასთან შედარებით? აქ ბედნიერებასაც და უბედურებასაც დასასრული აქვს, თანაც ძალიან სწრაფი, ხოლო იქ ერთიცა და მეორეც უკვდავი საუკუნეების განმავლობაში გრძელდება, და თავისი ხარისხით ისე განსხვავდება აქაურისგან, რომ გამოთქმაც კი შეუძლებელია.[154]

დალაცათუ სარწმუნოებაჲ გუაქუნდეს და ყოველთავე წერილთა გულისხმის-ყოფაჲ, და საქმეთაგან კეთილთა ოხერ ვიყვნეთ, არარაჲ არს დამაყენებელ მისლვად ჩუენდა ცეცხლსა მას გეჰენიისასა, დაუშრეტელსა სახუმილსა შინა გუემაჲ. და ვითარცა მოქმედნი კეთილისანი აღდგებიან აღდგომასა ცხორებისასა, ეგრეთვე მოქმედნი ბოროტისანი – აღდგომასა საშჯელისასა სატანჯველად დაუსრულებლად.[155]

სად არიან ისინი, ვინც ამბობს: მე ერთ საათში ჩავიდინე მკვლელობა, მცირე ჟამს ვისიძვე და ნუთუ სამუდამოდ უნდა დავისაჯო? აი, განრღვეულიც იმდენი წლის განმავლობაში არ სცოდავდა, რამდენ ხანსაც სასჯელს ითმენდა, თითქმის მთელი ცხოვრება უწყვეტ ტანჯვაში გაატარა. ცოდვები განისჯება არა დროის მიხედვით, არამედ დანაშაულის არსის მიხედვით.[156]

მაშინ სასჯელები იქნება არა ხანმოკლე და შემოსაზღვრული, არამედ მარადიული. აწმყო სასჯელები აწმყო ცხოვრებასთან ერთად მთავრდება, მომავალნი კი მარადიულად გრძელდება.[157]

ყოველივე აწინდელი ხომ აჩრდილია, რაზედაც გინდა მიუთითო: დიდება იქნება, ძლევამოსილება, პატივი, სიმდიდრე, სიამოვნება ან ნებისმიერი სხვა რამ ცხოვრებისეული. ამიტომაც თქვა წინასწარმეტყველმა: „დაღათუ მებრ ხატად ვალს კაცი, გარნა ამაოდ შფოთებს“ (ფსალმ. 38,7); და კვლავ: „დღენი ჩემნი ვითარცა აჩრდილი წარხდეს“ (ფსალმ. 101,12). და სხვა ადგილას ყველა კაცობრივ (წამოწყებას) უწოდებს კვამლსა და თივას (იხ. ფსალმ. 101,4-5). და არა მხოლოდ სასიამოვნოა აჩრდილი, არამედ სამწუხაროც: სიკვდილი, სიღარიბე, სნეულება და მათი მსგავსი. მაშ, რა არის მუდმივი როგორც სასიამოვნოდან, ასევე სამწუხაროდან? – მარადიული სასუფეველი და დაუსრულებელი ტანჯვა, რადგან არც მატლი კვდება, არც ცეცხლი ქრება, და მართალნი აღდგებიან მარადიულ ცხოვრებაში, ხოლო ცოდვილნი – მარადიულ სატანჯველში.[158]

მოუთმენელია გეენა და ტანჯვა მასში; მაგრამ ათასი გეენაც რომ წარმოვიდგინოთ, ესეც უმნიშვნელო იქნება იმ უბედურებასთან შედარებით, რაც არის იმ ნეტარი დიდების დაკარგვა, ქრისტეს მიერ მოძულება და მისგან გაგონება: „არა გიცნი თქუენ“ (მათ. 25,12) და დადანაშაულება იმის გამო, რომ ჩვენ ის მშიერი ვნახეთ და საჭმელი არ მივეცით. ჭეშმარიტად, უმჯობესია უთვალავჯერ დაგვეცეს მეხი, ვიდრე დავინახოთ, როგორ გარემიიქცევა ჩვენგან უფლის მშვიდი სახე და როგორ არ მოიხედავს ჩვენკენ მისი ნათელი თვალი. და მართლაც, თუკი მან მე, მისი მტერი, მოძულე და განდგომილი, ისე შემიყვარა, რომ საკუთარი თავი არ დაზოგა, არამედ მისცა სიკვდილად, და ყოველივე ამის შემდეგ როდესაც მე მას მშიერს ვიხილავ და პურსაც არ მივცემ, როგორღა ვიკადრებ მის შეხედვას?[159]

საკმარისი არაა მხოლოდ ბოროტებისგან თავშეკავება, არამედ საჭიროა სიკეთის კეთებასაც ეცადო. ამიტომაც ის (წმ. დავით წინასწარმეტყველი) შემდეგ გვთავაზობს ასეთ შეგონებას: „მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი“ (ფსალმ. 33,15). ნამდვილად, სიკეთის არაღსრულებაც ისჯება, და არა მხოლოდ ცოდვების აღსრულება. ისინიც, ვინც მშიერს საჭმელი არ მისცეს, მწყურვალს არ დაალევინეს და შიშველი არ შემოსეს, – არ მტაცებლობდნენ, არ იყვნენ მომხვეჭელნი, სხვისას არ იღებდნენ; მაგრამ, რადგან არ იყვნენ მოწყალენი, ამის გამო მარადიულ სასჯელსა და დაუსრულებელ სატანჯველს მიეცემიან. აქედან ვსწავლობთ, რომ ბოროტებისგან თავშეკავება ვერ გვაცხოვნებს, თუკი ამასთან ერთად არ იქნება სიკეთის შეძენა და სათნოების აღსრულება.[160]

## წმ. ნილოს სინელი (IV-V სს.)

ყველა, ვისაც ვინმესთვის კეთილისყოფა შეუძლია და არ ეხმარება, ანაწყენებს მას. უფალმა გვიჩვენა, რომ ეს სიმართლეა და მარადიულ ცეცხლს მისცა არა მხოლოდ ისინი, ვინც შეურაცხყოფს და მომხვეჭელია, არამედ ისინიც, ვინც არ დააპურა მშიერი გლახაკი, არ შეიყვანა სახლში მიუსაფარი, არ მოინახულა სნეული, არ მივიდა პატიმართან და არც სიტყვით და არც საქმით არ განუსვენა მას; გამოაცხადა ყველაზე დიდ უკეთურებად – არ გამოიყენო შენი ძალები გაჭირვებულთა დასახმარებლად.[161]

მანამ, სანამ მოსულა ჟამი მარადიული ტანჯვისა, ვისარგებლოთ სინანულის სამკურნალოთი; რადგან ღმერთი არასოდეს არავისგან პირს არ იბრუნებს, ვინც მასთან მიდის მტირალი, შეწყალების თხოვნით. რამეთუ ისინი, ვინც თავის ცოდვებზე ტირიან, დიდ ნუგეშისცემას პოულობენ.[162]

წმ. კასიანე რომაელი (IV-V სს.)

იობის მოთმინებამ ჯილდო ეშმაკს კი არ მოუტანა, რომელმაც თავისი განსაცდელებით ის უფრო დიდებული გახადა, არამედ თვითონ იობს, რომელმაც ისინი მხნედ გადაიტანა; და იუდაც არ იქნება გამოხსნილი მარადიული სატანჯველიდან იმის გამო, რომ მისი გამცემლობა კაცთა მოდგმის გადარჩენას მოემსახურა.[163]

ნეტარი იერონიმე (IV-V სს.)

ორიგენეს მრავალ ცდომილებათაგან მე შემდეგს ვთვლი განსაკუთრებით მწვალებლურად: რომ თითქოს ძე ღვთისა ქმნილებაა, სული წმიდა მსახური პირია, ურიცხვი სამყაროები მისდევენ ერთმანეთს უსასრულო საუკუნეებში, ანგელოზები ადამიანთა სულებად გადაიქცევიან... ყოველივეს აღდგენისას („აპოკატასტასისი“) დადგება ცოდვების საყოველთაო მიტევება და ქერუბიმები, სერაფიმები... ეშმაკი, დემონები, ყველა ადამიანთა სულები, როგორც ქრისტიანთა, ასევე იუდეველთა და წარმართთა, ერთნაირ მდგომარეობაში და ერთ ხარისხში იქნებიან...[164]

წმ. ისიდორე პელუსიელი (IV-V სს.)

მეკითხები: რა მდგომარეობაშია იქ სული, როგორ არსებობს? ამაზე გპასუხობ: კეთილად მცხოვრები შევა აღდგომასა ცხოვრებისასა, ხოლო ბოროტად მცხოვრები წავა მარადიულ ცეცხლში; გეშინოდეს მისი და იზრუნე, რომ აღმოჩნდე უდანაშაულო და არ იქნე მსჯავრდებული სატანჯველად.[169]

ნეტარი ავგუსტინე (IV-V სს.)

ვერავინ მიაღწევს ცხონებასა და მარადიულ სიცოცხლეს, იმის გარდა, ვისი თავიც არის ქრისტე, ხოლო ასეთი მხოლოდ ისაა, ვინც ქრისტეს სხეულშია, რომელიც არის ეკლესია.[165]

უმაღლესი სიკვდილი სულისთვის არის ღვთისგან განშორება მარადიულ ტანჯვაში.[166]

ახლა აუცილებლად მიმაჩნია მივმართო სიტყვითა და მშვიდობიანი განხილვით უკვე ჩვენს მოწყალეებს, რომელთა აზრით ყველა, ან ზოგიერთი იმ ადამიანთაგან, რომელთაც უსამართლიანესი მსაჯული გეენის სასჯელის ღირსად ჩათვლის,

არ დაიტანჯება მარადიულად, არამედ გარკვეული, მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის შემდეგ, თითოეულის ცოდვების ხარისხის მიხედვით, განთავისუფლდება ამ ტანჯვისაგან. ამ შემთხვევაში სხვებზე მოწყალე ორიგენე იყო, რომელიც მიიჩნევდა, რომ თვით ეშმაკი და მისი ანგელოზებიც კი, უფრო ხანგრძლივი და მძიმე სასჯელების შემდეგ, დამსახურების შესაბამისად, განთავისუფლდებიან ამ ტანჯვისგან და შეუერთდებიან წმიდა ანგელოზებს. მაგრამ ნაწილობრივ ამის (ამ ცრუმოძღვრების – მთარგმნ. შენ.), ნაწილობრივ რაღაც სხვის... გამო ორიგენე უარყოფილ იქნა ეკლესიის მიერ და სრულიად დამსახურებულად.[167]

რა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ საუკუნო ტანჯვა გავიგოთ როგორც ხანგრძლივი ცეცხლი, ხოლო საუკუნო ცხოვრება – როგორც დაუსრულებელი ცხოვრება, როდესაც ქრისტემ ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე მსჯავრდებაში ერთზეც და მეორეზეც თქვა: „და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი ცხორებასა საუკუნესა“ (მათ. 25,46)? თუკი ერთიცა და მეორეც საუკუნოა, მაშინ ცხადია, ერთიცა და მეორეც უნდა გავიგოთ ან როგორც ხანგრძლივი, მაგრამ სასრული, ან როგორც მუდმივი და დაუსრულებელი. ერთიცა და მეორეც ერთმანეთის მიმართ თანაბარ შეფარდებაში არიან, ამიტომ როგორც ტანჯვა, ასევე ცხოვრება მარადიულია. იმის თქმა, რომ საუკუნო ცხოვრება უსასრულო იქნება, ხოლო საუკუნო სასჯელს დასასრული ექნება, სრული უაზრობაა.[168]

## წმ. კირილე ალექსანდრიელი (IV-V სს.)

მართალი მსაჯული არ მოითხოვს არც დამსმენებს, არც მოწმეებს, არ დასჭირდება გარეშე ჩვენებები და მტკიცებულებები, არამედ ყველაფერს, რაც გაგვიკეთებია, რაც გვითქვამს, რაც გვიფიქრია, ჩვენს თვალწინ წარმოაჩენს. მაშინ ვერავინ გვიშუამდგომლებს, ვერავინ გვიხსნის სატანჯველისგან – ვერც მამა, ვერც დედა, ვერც ქალიშვილი, ვერც სხვა ნათესავი, ვერც მეზობელი, ვერც მეგობარი, ვერც კეთილისმყოფელი, ვერც ვერაფერი გამოგვიხსნის – ვერც ქონების დარიგება, ვერც სიმდიდრე, ვერც ძალმოსილების სიამაყე: ეს ყოველივე როგორც მტვერი, მტვრად იქცევა. და განსასჯელი მარტოდმარტო დაელოდება განაჩენს, რომელიც ან გაანთავისუფლებს ტანჯვისგან, ან მარადიულ ტანჯვას განუჩინებს, მისი საქმეების მიხედვით.[170]

## წმ. მარკოზ მოღვაწე (IV-V სს.)

ჩვენგან დამოუკიდებელ მტკივნეულ გაჭირვებებში ღვთის წყალობაა დაფარული, რომელიც მათ გადამტანებს სინანულისკენ უბიძგებს და მარადიული ტანჯვისგან იხსნის.[171]

## ბ) VI–XI საუკუნეების მამები

### წმ. იოანე სინელი (VI ს.)

ვინც ჭეშმარიტად მოიხვეჭა მარადიული ტანჯვისა და საშინელი სამსჯავროს ხსოვნა, ვისაც ჭეშმარიტად ეშინია ამ ცხოვრებიდან გასვლისა, ის დროებითს აღარაფერს შეიყვარებს... უზრუნველად და სიზარმაცის გარეშე გაჰყვება ქრისტეს, განუწყვეტლივ ზეცისკენ ექნება მზერა აპყრობილი და იქიდან მოელოდება შეწევნას, წმინდანის მიერ ნათქვამის თანახმად: „მიგდევდა სული ჩემი შემდგომად შენსა“ (ფსალმ. 62,9).[172]

### წმ. გრიგოლ დიდი (VI ს.)

დიაკონი პეტრე: მინდა ვიცოდე, როგორ შევუსაბამოთ მართლმსაჯულებას ის, რომ სასრული დანაშაულის გამო ცოდვილები დაუსრულებელ სასჯელს მიიღებენ?

წმ. გრიგოლ დიდი: ეგ ეჭვი მაშინ იქნებოდა სამართლიანი, განრისხებული მსაჯული ადამიანის გულს კი არა, მხოლოდ მის საქმეებს რომ განიხილავდეს. ცოდვილებმა იმიტომ შეწყვიტეს ცოდვების ჩადენა, რომ მათი სიცოცხლე დასრულდა. ისინი ისურვებდნენ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, დაუსრულებლად ეცხოვრათ, რათა საშუალება ჰქონოდათ დაუსრულებლად ეცოდათ. ისინი, ვინც თავიანთ ცხოვრებაში არასოდეს წყვეტენ ცოდვის ჩადენას, გვიჩვენებენ, რომ მუდმივად ცოდვაში ცხოვრება სწყურიათ. აქედან გამომდინარე, მსაჯულის მხრიდან უდიდესი სამართლიანობაა, რომ ისინი, ვისაც ამ ცხოვრებაში არასოდეს ჰქონია ცოდვისაგან განშორების სურვილი, სამუდამოდ დაისჯებიან.[173]

### წმ. ბარსანოფი დიდი (VI ს.)

მომავალს რაც შეეხება, – ნუ შეცდები: რასაც აქ დათესავ, იქ იმას მოიმკი. აქედან გასვლის შემდეგ ვეღარავინ შეძლებს წარმატებას... ძმაო, თუ ცხონება გინდა, არ დაუჯერო მაგ სწავლებებს (ორიგენესეულ მწვალებლობებს), რამეთუ ვმოწმობ ღვთის წინაშე, რომ შენ ეშმაკის ორმოში და უკიდურეს დასაღუპავში ხარ ჩავარდნილი. ასე რომ, განეშორე მაგას და წმიდა მამებს გაჰყევი.[174]

### წმ. იოანე წინასწარმეტყველი (VI ს.)

ეს (ორიგენესეული მწვალებლობები) არაა ზეგარდამო სიბრძნე, არამედ მიწიერი, მშვინვიერი, საეშმაკო (შდრ. იაკობ. 3,15). ეს ეშმაკისეული მოძღვრებაა. ამ მოძღვრებას მარადიულ სატანჯველში მიჰყავს ისინი, ვინც მას უჯერებს. ვინც ამ სწავლებითაა დაკავებული, ის მწვალებელი ხდება. მისი მორწმუნე განეშორა ჭეშმარიტებას. ვინც მას ეთანხმება, უცხოა ღვთის გზისგან. ქრისტეს მუშაკებს ეგ არ უსწავლებიათ. ჭეშმარიტების სიტყვის მიმღებნი მაგ აზრებს არ იღებენ. ძმაო, სასწრაფოდ მიატოვე ისინი, რომ შენი გული ეშმაკის ცეცხლით არ დაიწვას, რომ ხორბლის ნაცვლად შენს მინდორზე სარეველა არ დათესო და სიცოცხლის ნაცვლად სიკვდილი არ მიიღო;

და ბევრს რატომ ვლაპარაკობ – რომ ქრისტეს ნაცვლად ეშმაკი არ შეიწყნარო. ნუ დააყოვნებ მაგ მოძღვრებაში, გაიქეცი როგორც ლოთი სოდომიდან და თავი დაიხსენი წმინდანების ლოცვით.[175]

## წმ. აბბა დოროთე (VI ს.)

ძმაო, სულის უგრძნობელობისას სასარგებლოა ხშირად კითხვა საღვთო წერილისა და ღმერთშემოსილ მამათა ლმობიერმყოფელი სიტყვებისა, ხსენება ღვთის საშინელი სამსჯავროსი, სულის ხორციდან განსვლისა და მისი საშინელ ძალებთან შეხვედრისა, რომლებთან თანამონაწილეობითაც სჩადიოდა ბოროტებას ამ ხანმოკლე და უბადრუკ ცხოვრებაში. ასევე სასარგებლოა იმის გახსენება, რომ ჩვენ მოგვიწევს წარვდგეთ ქრისტეს საშინელ და სამართლიან სამსჯავროზე, და არა მხოლოდ საკუთარ საქმეებზე, არამედ სიტყვებზე და გულისსიტყვებზეც ვაგოთ პასუხი ღვთის წინაშე, ყველა მისი ანგელოზის წინაშე, და საერთოდ მთელი ქმნილების წინაშე. ასევე ხშირად გაიხსენე ის მსჯავრი, რომელსაც წარმოთქვამს საშინელი და სამართლიანი მსაჯული მარცხნივ მდგომთა მიმართ: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის“ (მათ. 25,41). კარგია ასევე ადამიანთა დიდი მწუხარებების გახსენება, რომ ამგვარად უნებლიედ მაინც დარბილდეს გაქვავებული და უგრძნობელი სული და თავისი ცოდვები გააცნობიეროს.[176]

## წმ. იოანე IV მმარხველი,
## კონსტანტინოპოლის პატრიარქი (VI ს.)

ჩვენ იქ ვისურვებთ არა ოქროს, არამედ ცვარს; იქ საჭიროა არა ფოთლები, არამედ – ნაყოფი, რამეთუ: „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“ (მათ. 7,21). ამგვარად, თავს ნუ ვიცდუნებთ. დავუშვათ, მთელი ცხოვრება ხორციელ სიამეებში გავატაროთ, მაგრამ რა იქნება ეს დაუსრულებელ საუკუნეებთან შედარებით? აქ სიკეთესაც და ბოროტებასაც დასასრული აქვს, იქ კი ტანჯვა დაუსრულებელია.[177]

## წმ. მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.)

სათნოებაში მოღვაწეობის საზღაური უვნებელობა და სიბრძნეა. ისინი ჩვენთვის ღვთის სასუფევლის დამკვიდრების მიზეზნი არიან, ისევე როგორც ვნებები და უმეცრება – სამუდამო სატანჯველისა.[178]

(ამ საუკუნისგან განსხვავებით მომავალ საუკუნეში) ადამიანი აღარ უნდა მოელოდეს ცოდვათა მიტევებას, არამედ – მხოლოდ განვლილი ცხოვრების შესაბამის მისაგებელს.[179]

ჩვენი საქმეების ღირსად მოგვეგება; უფრო ზუსტად, ვიღებთ საზღაურს სულიერი

განწყობის შესაბამისად, რომელიც ჩვენი განზრახვის შედეგად გაჩნდა ჩვენში... სამართლიანია ღვთის მსჯავრი. რაც არ გვიძებნია, ის ვერც მოვიპოვეთ. არ იღება ჩვენთვის ცათა სასუფევლის კარი, რაკი არ ვრეკდით საქმეებით სათნოებათა კარზე; ვერ განვიცდით მარადიულ სიკეთეთა სიტკბოებას, რაკი ლოცვაში არ ვითხოვდით შემეცნების მადლს. მცირეოდენი სიყვარულიც არ გვქონია ღვთაებრივის მიმართ, არამედ გონება მიწიერ საგნებს მივაჯაჭვეთ და მათი წამხდარობით წავახდინეთ მთელი ჩვენი ცხოვრება. ყოველივე მიწიერი წავიდა და გაქრა კვამლივით, ხოლო ჩვენი დანაშაული განუქარვებელი დარჩა სამარადისოდ.[180]

## წმ. ანასტასი სინელი (VII ს.)

კითხვა: თუკი ვინმე ქრისტეს ურწმუნო, მაგალითად, იუდეველი ან სამარიტელი, მრავალ კეთილ საქმეს აღასრულებს, შევა ცათა სასუფეველში?

პასუხი: ვინაიდან უფალი ეუბნება ნიკოდიმოსს: „ამენ, ამენ გეტყვი შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოან. 3,5), ცხადია, რომ ვერ შევა სასუფეველში. თუმცა არ დაკარგავს თავის მისაგებელს: ან იღებს თავის კეთილდღეობას სიმდიდრით, ფუფუნებით და სხვა ცხოვრებისეული სიამოვნებებით, იმის მსგავსად, ვინც გაიგონა აბრაამისგან: „მოიხსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა“ (ლუკ. 16,25), ანდა მისი ხვედრი მომავალ საუკუნეში დიდად განსხვავებული იქნება იმათი ხვედრისგან, ვინც სიკეთეს არ აღასრულებდა. რამეთუ როგორც მართალთათვის აქვს ღმერთს მრავალი სავანე (იხ. იოან. 14,2), ასევე ცოდვილთათვისაც მრავალი სხვადასხვა სასჯელია.[181]

## წმ. იოანე დამასკელი (VII-VIII სს.)

ხოლო შესწავებაჲ სახმარ არს, ვითარმედ რაჲ-იგი არს კაცთათვის სიკუდილი, იგივე ანგელოსთათვის – განვრდომაჲ, რამეთუ შემდგომად განვრდომისა არა არს მათდა სინანული, ვითარ-იგი არცაღა კაცთა – შემდგომად სიკუდულისა.[182]

ვინაჲცა აღვდგეთ სადმე შეერთებითა კუალად სულთაჲთა ხორცთა თანა, უხრწნელქმნილთა და განმძჳრცელთა ხრწნილებისათა, და წარვდგეთ საშინელსა საყდარსა ქრისტესსა. და მიეცეს სატანა და ეშმაკნი მისნი და კაცი მისი, რომელ არს ანტიქრისტე, და უმსახურებელნი და ცოდვილნი ცეცხლსა საუკუნესა, არა ნივთიერსა, ვითარი არს ჩუენშორისი ესე, არამედ ვითარი უწყის ღმერთმან. ხოლო კეთილისამოქმედნი განბრწყინდენ, ვითარცა მზე, ანგელოსთა თანა ცხორებად საუკუნოდ უფლისა ჩუენისა თანა იესუ ქრისტესსა, ჰხედვიდენ მას და იხილვებოდინ და დაუსრულებელსა შუებასა მოისთულებდენ მის მიერ.[183]

## წმ. თეოდორე სტუდიელი (VIII-IX სს.)

„წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, განმზადებელსა ეშმაკისათვის და ანგელოსთა მისთათვის“ (მათე 25,41)... და ესე არა მცირედ ჟამ,

არცა ერთ წელ, არცა ას წელ, არცა ათას წელ, რამეთუ არცათუ არს დასასრული სატანჯველთა, ვითარ-იგი ჰგონებენ ოროგინეანნი, არამედ დაუსრულებელ არიან და სამარადისო განჩინებისაებრ უფლისა[184]

